64

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

კვირა, 19 იანვარი, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 8 (162) ფასი 30 კაპ.

მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება და ლიტერატურის თეორია

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით მკაფიოდ წამოიჭრა ჩვენს წინაშე ლიტერატურული კრიტიკის განმტკიცებისა და გაძლიერების ამოცანა. ეს გასაგებიც არის. საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა მოწოდებულია უაღრესად მჭიდროდ უკავშირდებოდეს მსოფლიოში ყველაზე უფრო მოწინავე, ყველაზე უფრო იდეურ, ყველაზე უფრო მდიდარ ლიტერატურას — საბჭოთა ლიტერატურას, არკვევდეს მისი განვითარების პერსპექტივას, უადვილებდეს მას ურთულესი ამოცანების დაძლევას, უკაფავდეს და უნათებდეს მას გზას. აქედან ცხადია, თუ რა განუზომლად დიდია როლი ლიტერატურის მეცნიერებისა და ლიტერატურული კრიტიკისა, რომელიც ჯერჯერობით ვერ ასრულებს ამ ისტორიულ ფუნქციას, ვერ ასრულებს იმიტომ, რომ ჩვენს კადრებს ჯერ კიდევ აკლიათ თეორიული გამობრძმედა.

ჩვენი კრიტიკისა და ლიტერატურის მეცნიერების აყვავების ჭეშმარიტი საშუალება არის ღრმა, სერიოზული და ყოველმხრივი შესწავლა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრებისა. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება, დიალექტიკური მატერიალიზმის თეორია თავისთავად შეიცავს ხელოვნების თეორიის მწყობრ და მეცნიერულ სისტემას, ის ნათლად გვიჩვენებს ხელოვნების, როგორც იდეოლოგიური ზედნაშენის წარმოშობისა და განვითარების მთელ ისტორიას, გვიხსნის შემოქმედებითი პროცესის რთულ ბუნებას. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა გვიჩვენეს ბრწყინვალე ნიმუშები იმისა, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ხელოვნებისა და ლიტერატურის ამა თუ იმ ნაწარმოების მნიშვნელობის ამოხსნას. ხელოვნების თანამედროვე მკვლევარის, საბჭოთა კრიტიკოსის უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანაა — შეისწავლოს ის ლიტერატურული და ესთეტიური შეხედულებანი, რომელნიც გამოთქმულია **მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის** ნაწარმოებებში. ეს აძლევს პოლიტიკურ სიმახვილეს, სიღრმეს, დამაჯერებლობას ჩვენს ლიტერატურულ აზროვნებას. **მარქსისა** და **ენგელსის** შეხედულებანი რეალიზმისა და რომანტიზმის შესახებ, ეპოსისა და ტრაგედიის შესახებ, კომუნიზმის ეპოქის მხატვრული შემოქმედების შესახებ, **ლენინის** მოსაზრებანი ნამდვილად თავისუფალი სოციალისტური ჰუმანიზმის ლიტერატურის შესახებ, **ლენინის** მოსაზრებანი კულტურულ მემკვიდრეობაზე, **სტალინის** მოსაზრებანი ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის, სოციალისტური რეალიზმის შესახებ ეს არის მკვიდრი საფუძველი, რომელზედაც აშენდა და შენდება თანამედროვე საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა, მისი ესთეტიკა.

ჩვენ უნდა შევისწავლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, მისი იკონომიური მოძღვრება, სოციალისტური რევოლუციის თეორია და ტაქტიკა და შევისწავლოთ ხელოვნების კონცეპცია, რომელიც აგებულია ამ საფუძველზე. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვმუშაობთ ისე, როგორც საჭიროა. ჩვენ ჯერ ისიც ვერ მოვახერხეთ, რომ ქართულ ენაზე გამოგვეცა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების წერილები ლიტერატურის შესახებ. მოსკოვში ასეთი გამოცემანი წლიდან-წლობამდე სისტემატურად გამოდიან. უკანასკნელად გამოსცეს დიდი კრებული—**კ. მარქსი** და **ფრ. ენგელსი** ხელოვნების შესახებ, რომელიც დაახლოვებით ორმოცდახუთ ფორმას შეიცავს. ჩვენში კი, მიუხედავად იმისა, რომ ითარგმნა და ჟურნალებში დაიბეჭდა არისტოტელის პოეტიკაც, ჰეგელის ესთეტიკაც, დღემდე არ მოხერხდა **მარქსისა** და **ენგელსის** იმ წერილების თარგმნა და ცალკე გამოცემა, რომელნიც ესთეტიკას შეეხებიან. ცხადია, უაღრესად საჭიროა არისტოტელიც, ჰეგელიც, აუცილებლად მისასალმებელი საქმეა მათი ნაწერების ქართულად დაბეჭდვა, მაგრამ ათასჯერ უფრო მეტად საჭიროა, რომ მასობრივ მკითხველს ხელთ ჰქონდეს მეცნიერული გამოცემა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების იმ წერილებისა, რომელნიც მხატვრულ ლიტერატურას შეეხებიან და მის პრობლემებს ხსნიან. ასეთი გამოცემის საჭიროებას განსაკუთრებით მწვავედ განიცდის ჩვენი უმაღლესი სკოლების მრავალრიცხოვანი სტუდენტობა და ახალგაზრდა საბჭოთა ინტელიგენცია.

არა მარტო თანამედროვე კრიტიკოსი, არამედ ლიტერატურის ისტორიკოსიც, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს წინ, ვერ მოგვცემს სერიოზულ და ნამდვილად მეცნიერულ ნაშრომს, თუ არ შეისწავლა ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებისა, რომელთაც არ დაუტოვებიათ არც ერთი საკითხი მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში — დაწყებული ხელოვნების პირვანდელი წარმოშობით, ძველი აღმოსავლეთისა და ანტიური ეპოქის ლიტერატურით და დამთავრებული კომუნისტური საზოგადოების ხელოვნებით, რომელზედაც ამომწურავი პასუხი არ გაეცეთ. როგორ უნდა მოგვცეს სწორი მეცნიერული განმარტება რომანტიზმისა ლიტერატურის ისტორიკოსმა, თუ ის არ შეისწავლის **მარქსისა** და **ენგელსის** მოსაზრებებს შატობრიანის, ვალტერ სკოტის, ტომას კარლეილის, ლამარტინის, ვიქტორ ჰიუგოს შესახებ? როგორ უნდა გაერკვეს იგი კლასიკური რეალიზმის ბუნებაში, თუ არ იცნობს **მარქსისა** და **ენგელსის** წერილებს მეცხრამეტე საუკუნის ფრანგ და ინგლისელ რეალისტებზე, **ლენინის** წერილებს ლევ ტოლსტოიზე? როგორ უნდა შესძლოს მან მეცხრამეტე საუკუნის მხატვრულ მწერლობაში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების ამოხსნა, თუ არ იცნობს **სტალინის** ნაშრომებს ნაციონალურ საკითხზე? მკვლევარი, რომელიც გაცნობილი არ იქნება ამ წყაროებთან, ვერ შესძლებს მოგვცეს მეცნიერული ნაშრომი, რომელიც ოდნავ მაინც დააკმაყოფილებს თანამედროვე ლიტერატურისა და მკითხველის მოთხოვნილებას.

მაშასადამე, ჩვენი მთავარი ამოცანაა — მთლიანად გამოვიყენოთ სამხატვრო-სალიტერატურო პრესა იმისათვის, რომ მოვახდინოთ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ლიტერატურულ-ესთეტიკური იდეების ფართო პოპულარიზაცია, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა. მხოლოდ ამ გზით შეიძლება აღვკვეთოთ ვულგარული სოციოლოგიზმის ნაშთები, რომელნიც ჯერ კიდევ თავს იჩენენ ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში. ამ გზით შეიძლება აღვკვეთოთ ის უარყოფითი მოვლენაც, როცა მკვლევარი, გატაცებული „აკადემიურობით“ და „ფაქტოლოგიით“, ივიწყებს ამა თუ იმ ნაწარმოების იდეის სოციალურ ანალიზს.

ლიტერატურის ისტორია პირველ რიგში იდეების ისტორიაა, კლასობრივი ბრძოლის ისტორიის გამოხატულებაა, — ეს ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს. იმავე დროს ჩვენ უნდა შევეცდოთ მკაფიოდ დავინახოთ ის სპეციფიური თვისებები, რომელნიც ამა თუ იმ შემოქმედის სამწერლო ინდივიდუალობას ჰქმნიან, — ამაში მდგომარეობს სიღრმე და სირთულე ლიტერატურის მარქსისტულ-ლენინური ანალიზისა.

მთავარი ის არის, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ლიტერატურული იდეების შესწავლა არ უნდა გადავაქციოთ რაღაც მშრალ და განყენებულ ამოცანად. ეს შესწავლა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ჩვენს პრაქტიკას, ცოცხალ ლიტერატურულ ვითარებას, მჭიდროდ დავუკავშიროთ ერთმანეთს თეორია და პრაქტიკა, როგორც ამას მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის.

ლიტერატურული კრიტიკა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ხელში ერთ-ერთი იარაღი იყო, რომელსაც ისინი რევოლუციური მოძრაობის მთელი ისტორიის მანძილზე მარჯვედ იყენებდნენ ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. სწორედ ამიტომ ჩვენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ლიტერატურული იდეების შესწავლა მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლის საქმეს.

ჩვენი პარტიის გმირული ისტორიის შესწავლა, მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება არის მთავარი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა ჩვენი მწერლობისა და ლიტერატურის მეცნიერების მუშაკთა კადრებისათვის, — ამოცანა, რომლის წარმატებით განხორციელებაც საუკეთესო საწინდარია საბჭოთა ლიტერატურის უფრო სწრაფი ზრდისა, აყვავებისა და გაძლიერებისა.

თბილისი*

დემნა შენგელაია

მთიებნი ჩაქრნენ.

გათენების წინ ერთი ისე ჩამობნელდა, რომ ელნათურები უფრო მეტად აკაშკაშდნენ.

ცისკრის ვარსკვლავი მაინც ციმციმებს და მთაწმინდის ციცაბოზე არბენილ ლამპიონებს ბრწყინვალებაში ედავება.

მირიანი მთვრალივით მიაბიჯებს.

ქალაქს ძინავს.

უკაცრიელ ტროტუარებს გასწვრივ გოგონებივით ჩამწკრივებული ცქრიალა ჭანდრები შემოდგომის გრილად მობერილ ნიავისაგან ხალისიანად ირხევიან, ჩეროებს არხევენ.

მირიანს სხვა დღე უთენდება, დღე შრომისა და შემოქმედების. დღეიდან მისი ცხოვრება სხვა სხივით, სხვა შარავანდედით შეიმოსა და გრძნობა, რომ დარიკო იმისი იყო, შრომის სურვილს უათკეცებდა.

სადღაც, ბაღში, ვიოლინო ტკბილად კვნესოდა და ეს გულითადი კვნესა გულს უჩუყებდა. ეს — კვნესა იყო ბედნიერებით სავსე გულისა, კვნესა, გამოწვეული დიდი ნეტარებით.

დარიკო ისე დაეუფლა მის არსებას, რომ მის გარეშე ფიქრიც არ შეეძლო, ყველა მის საზრუნავს ის ახლდა, ის დაჰნათიდა. ყველაფერი, რაც მის ყურადღებას იპყრობდა, იმასაც შეეხებოდა და გული მომავლის იმედებით აევსო.

შუა ქუჩაში დგას და არ იცის, საით წავიდეს.

ახლა, როცა გული ასე ავსებოდა, შინ რა გააძლებინებდა!

ყველგან სიმშვიდეა და ამ დუმილს მხოლოდ ელმავლების შორეული ზუზუნი, ორთქლმავალთა ცივი კივილი, შეყოვნებულ ავტოთა პიპინი თუ დაარღვევს.

პროსპექტზე არავინ არის.

ჭავლიანი შავი ასფალტი დუბლასავით შემდორებულა და შიგ ჩაყირავებული ზრომიდგმულნი ჩრდილნი და ნამდვილნი ჰქმნიან შთაბეჭდილებას ორმაგი ქალაქისა.

ცად ატყორცნილი ელექტროს ნაირფერი რეკლამები უდაბურ ღამეში ამოდ კიაფებენ.

კოლმეურნე გლეხებს ღამის მყუდროებით უსარგებლნიათ და შუა ქალაქში სანოვაგით დატვირთული ურმები ჭრაჭუნით, შრიალით ჩაატარეს.

ირგვლივ ძინავთ და მორიდებულად ისმის მათი უძილობით დაბუხული ხმა:

— თფვეი, ჰამოო! — და თან ხარიპარია ცისკრის ვარსკვლავს ირიბულად გასცქერიან.

ვინ მოსთვლის, რამდენ ხარს, რამდენ ბუღასა და მოზვერს გასდგომია ტანში ტკბილ ჟრუანტელად მისი ციმციმი, ტყე-ღრე ღმუილით უტარებია და გზა-კვალ-არეული ლარდაღრანტეებში გადაუჩეხია.

ვინ მოსთვლის რამდენი ღამის მეხრე გაუწამებია ამაო ძებნით და რამდენი წყევლა-კრულვა შეუთვლიათ მისი მაცდური ციმციმისათვის.

მირიან ლარაძე შედგა.

ის არც მთვრალი, არც შეყოვნებული ღამის მგზავრი და არც არსად მიიჩქარის.

მაღალსა და მოხდენილ ტანზე კაბარდინის საზაფხულო ლეგა პალტო ლაზათიანი ნაოჭებით შემოკვართვია. ფეტრის განიერ-ფარფლიანი ავლის ფერი ქუდი უკან ოდნავ დარიდაბნდულად გადაჰქანებია და გატაცებით გასცქერის ქალაქისათვის ამ უჩვეულო მსვლელობას.

ნაიალაღარი წოქე ხარები გლუვ ასფალტზე ფეხის აცურების შიშით ფრთხილად, აზიზად მიაბიჯებენ. მიაბიჯებენ ისე, თითქოს მიწას ეძებენ და, რომ ვერ პოულობენ, სევდიანი, მეტყველი თვალებით ბედის მორჩილად იცქირებიან. ტლუდ გათლილი ბორბლები ისე ხმაურობენ, როგორც სოფლის გზის ტალახ-ამხმარ ნაორღალზე.

რკინის-ბალთიანი ბომბორა ნაგაზი ურმის ქვეშ მფრთხალად შეფარებულა და კუდამოძუებული თვალთა სკურვით აღრენილად იცქირება.

მირიანს მშობლიურ ზურტაკეტის მდელოებსა და იალაღებზე გატარებული ბავშვობის ნათარხნი დღეები თვალწინ ცოცხლად დაუდგა. გულმა იქით გასწია, — ლუხუნისა, კვირიკეთისა და მუდმივი თოვლით თავდოლბანდიანი შამბიანის მთები კვლავ უზრუნველ დღეთაკენ მოუწოდებიან.

ჯერ კიდევ დახურულ ბაზრებიდან მოდის მაბრუებელი სურნელება ხავისა და პარაქისა.

ეს რიერაქ-ნაკრავი ღამეც საგვარეულო ხატობანდის სკივრივით ჩაქუფრულა და, მისი ხარიანი ხუფი წკარუნით რომ აიხადა, თბილისის ღამის თრიალეთის განთიადი ლბილად წამოეფარა...

ნასოფლარები, დანგრეული ეკლესიები, უძველესი წარწერიანი ლოდნარები, სადაც მას ისე უყვარდა ყოფნა და ფიქრი იმათზე, აქ რომ უცხოვრიათ და ალხოცილან, აღგვილან ისე, რომ მათთან ერთად სოფელთა სახელებიც დაკარგულა.

აბიბინებული მწვანე მინდვრები, მთის ახმაურებული ნაკადულები და დადუმებული დამაფიქრებელი იდუმალებით დაყურსული ულრანი ტყეები. ტყეები იმდენად მშვიდნი, — ყურს რომ მიუგდებ, გესმის, როგორ ივსებიან ხეები წვენით, როგორ სკდებიან ტკაცუნით დაბუხული მწიფე ყლორტები, როგორ შმაშურობენ ზრდისაგან ბალახბულახნი და როგორ ცვივა ნელი ფაჩუნით წიწვი მიწაზე.

ღამით ჩაქუფრულ სათიბებში ბუზანკალები ვნებიანად რომ აწიწინდებიან და სრფლები მიიძინებენ, ძილგატეხილ ქოფაკებს თითქოს პირველადობის სევდა აიტანთ, — ღავლავებენ, საუკუნეთა მრუმეებში გარდასულ ლოდ წინაპრებს ეძახიან.

ჯარგვალთა დაციარულ ყავრის სახურავებზე მთვარის ცივი შუქი ტყვიისფერად ციაგებს.

გომურის გვერდით ძროხა თავის მაძღარ ხბოს ტკბილი ლოკვით ეალერსება და დამეხილ ფიჯვს ბუნჩულა თათი ცისიერში ისე გაუშვერია თითქოს დედა შვილს ლოცავდეს.

საიდანღაც ისმის ღამის მეხრეების საკოლმეურნეო ტკბილი სიმღერა.

მირიანმა პროსპექტი ნელი ნაბიჯით გადასერა და გაზეთის რედაქციის უზარმაზარ შენობის წინ შედგა.

საროტაციო მანქანათა ხმაურში ყრუდ შემოჭრილ ურმის ჭრიალს ყური ისევ მიუგდო.

ღამე თანდათან ცვდებოდა და მას ყველაზე უფრო ეს დრო უყვარდა, — დრო, როცა ქუჩაში არავინ არის, სინათლეები ქრება და გამთენიის წყლისფერ ბინდებში ქალაქის უზარმაზარი შენობანი პრეისტორიულ სულდგმულებივით ირკვევიან, დუმილში ნელიად აცურებულნი კიდევ უფრო მაღლდებიან და ცად შნოიანად იმართებიან.

სამკაულებად ქცეულ თაბაშირისა და გრანიტის ფანტასტიური ურჩხულები, კარიატიდები, ტიტანები, სირინოზები, ლომები და ქიმერები აივნებსა და ალაყაფებს მტკიცედ შებჯენიან და ღამესა და მძინარეთა მყუდროებას ფხიზლად დარაჯობენ. ვერის წყალზე გადაზიდული ქვის ხიდის მისასვლელებში თუჯის გრიფონებს ფრთა გაუშლიათ და, საცაა გაფრინდებიან.

შინას რომ მიიდგა, ეწყინა. არ უნდოდა, ასე მალე მისულიყო შინ, არ უნდოდა, რომ ასე მალე გაევლო ეს გზა ბედნიერებისა, უნდოდა დიდხანს, კიდევ დიდხანს ეტარებინა გულით ქუჩა-ქუჩა ეს ნეტარება.

კარი ნელა შეაღო და ისე, როგორც სხვის ბინაში, ელნათურის ღილს კარგა ხანს ვერ მიაგნო. ბოლოს იპოვა, როგორც იქნა, და, მისის ნახაზებითა და წიგნებით სავსე სტუდენტური ოთახი ერთბაშად რომ განათდა, შედგა. ეს ოთახი და თავისი მარტოხელა ცხოვრება ისე შორეულად მოეჩვენა, ამ დღის აქეთ იმდენ დროს გაეარა, იმდენი განეცადა და თვითონაც იმდენად სხვა იყო, რომ ყველაფერი, რასაც ხედავდა, ნამდვილი კი არა, დიდიხნის წინად დავიწყებული წარსულის მოგონება იყო. აქაურობა უცებ ისე უთვისტომოდ, ისე უკარებლად მოეჩვენა, რომ ეგონა სადღაც სხვაგან იყო. ახლა, როცა ის დღემუდამ სხვათა ბინების ზრუნვაში უნდა ყოფილიყო, ახლა, როცა იგი ასე იყო აღსავსე სიყვარულით, მომავლის ტკბილი იმედებით და მარტო ცხოვრება ვერ წარმოედგინა, მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ უბინაო ყოფილა და თავის ბუნაგზედაც უნდა იზრუნოს.

ცისკარი ჩაქრა.

ჩრდილად-ქცეული ღამე მთაწმინდის ორწობებში მიიპარება.

ტროლეიბუსები და ავტობუსები ხთქავენ პირველ რეისებს.

ლაკირონის რადიატორზე აჭიატებული გარიჟრაჟის ათინათს ტაქსი ნადავლივით მიაქროლებს.

მეორე მტკვარივით გატყორცნილი ვრცელი სანაპირო პროსპექტის შუა წელში მადათოვის კუნძულზე აშლილ ტევრს აწყდება. სტალინის ცად ამართულ მონუმენტს მზის პირველი სხივი ტკაცუნით ელამუნება და ბელადის ნათელი სახე ელვარებს, ბრწყინავს შთამაგონებლად.

* * *

ვაგზალზე გამოვიდა თუ არა, თავი სხვაგან ეგონა. მიხვდა, — იმ თბილისს, სადაც ის თითქმის ოცი წელიწადია არ ყოფილა, სახე ისე უცვლია, რომ ვერასოდეს ველარ ნახავდა, რომ ის ნახევრად აზიური ქალაქი მომკვდარა და არასოდეს არ აღდგებოდა.

ვრცელი მოედანი, ფართო ქუჩები, ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, განიერ-ლიანდაგიანი ტრამვაის დიდი ვაგონები, ავტობუსები, ტროლეიბუსები, ტაქსი და ხალხიც სხვაგვარი — საქმიანი, მხიარული და ხალისიანი.

— ეს სადაური თბილისია, ერთი კინტოც არა სჩანს?! — და თავის გაკვირვებაზე თვითონვე გაეღიმა.

სადღა იყო თითქმის ზედ სადგურზე მობჯენილი რიგი სამიკიტნოებისა, სად იყო ავჭალის ქუჩაზე ჯერ კიდევ მის დროს შერჩენილი უბადრუკი მწვანე „კონკა“, ან საზურგე გადასაბრუნებელ სკამებიანი ტრამვაის ის ვიწრო ვაგონები ბელგიელ აქციონერთა ანონიმური საზოგადოებისა? როცა ის ტაქსიმ „კრომის“ გაგანიერებულ პასაჟში შეაქროლა და იქიდან ახლად გაჭრილი ქუჩით პირდაპირ ჩელიუსკინელთა ხიდისაკენ გააქანა, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ცვლილებებზე მნახველთაგან ბევრი რამ ჰქონდა გაგონილი და გაზეთშიც წაკითხული, თავისი თვალით ნახული მაინც სხვა იყო, და ხელები გაოცებით გაშალა, — ერთხანს ვერ გაისაზრა, სად იმყოფებოდა. ნუ თუ ეს ადგილი, სადაც ახლა ზოოპარკი გაშლილა, თვალუწვდენელი თერთმეტ-სართულიანი სახლი ცად აზიდულა, სანაპირო პროსპექტი მტკვრის გასწვრივ ისარივით გატყორცნილა და ვერის წყლის ხეობაში უზარმაზარი აბრეშუმის საქსოვი ქარხანა ჩაფენილა, ის თბილისია? ნუ თუ ეს ვერის ყელია? ნუ თუ ეს ფიქრის გორაა? ნუთუ ეს ახლად დასახლებული უბანი, რომელიც ყოფილ გადმოსახლებულთა პუნქტის წინ მდებარეობდა, სადაც ხარახო-შემოუხვნელი უზარმაზარი კორპუსები ამართულან, ის სოფელია, სოფელი, სადაც ვერელი მაზარიან-ქალამნიანი გლეხობა მიწურებსა და გომურებში ცხოვრობდა? ნუ თუ ეს გარემო ის ვერაა, სადაც „ედემისა“ და „ნე უეჟაი, გოლუბჩიკ მოი“-ს საქეიფო ბაღები იყო გამართული, სადაც გათენებამდე არღნის სულისშემხუთველი ჭყვინი, გადამთვრალი უსაქციელო ქალების კივილი და ლოთების ღრიანცელი გაისმოდა, ხოლო დღისით მთელი ღამის „მუშაობით“ დაღლილი მეკიტნები, მეზურნეები და ინით შუბლშეღებილი რქა-წახრხილი ყოჩები დუქნების წინ ზარმაცად სთვლემდნენ? აქვე ოდესღაც დიღმელ, ლისელ და ბევრეთელ მეურმეთა ბაკები და გომურები იყო გამართული. ნალბანდები სამჭედზე წაქცეულსა და გაკოჭილ ხარებს ჭედავდნენ. სამჭედლოებიდან ისმოდა ბუზღუნი საბერველისა, გუგუნი გახურებულ რკინაზე დაკრული უროებისა. ურემზე გამოხსნილი კამეჩები ვერის წყალში ნაბდებივით ჩაყრილიყვნენ და თვალთა ლულვით ზანტად იცოხნებოდნენ. ეს ძველი გარდასული თბილისი, იმასთან შედარებით, რასაც ის ახლა ხედავდა, ისე უბადრუკად მოეჩვენა, ისე საწყლად, როგორც აი ის პატარა აგურის ნახევრად დაქცეული, გაუქმებული საბურთალოს ხიდი, ახლა ახალ ხიდიდან რომ დასცქეროდა, ხიდიდან, რომელსაც მისასვლელებში თუჯის ფრთაგაშლილი გრიფონები ისე შებმოდნენ, თითქოს მის უფრო მაღლა ატანას ლამობდნენ.

ამ ხალისს, რომელიც ასლანს ახალმა ქალაქმა მოჰგვარა, ის კიდევ უფრო აძლიერებდა, რომ ყველგან დიდი სამზადისი იყო, სამზადისი საოქტომბრო დღესასწაულებისათვის.

სახურავებზე, აივნებზე, დაუმთავრებელ მშენებლობათა ხარაჩოებზე დეკორატორები, არქიტექტორები, მხატვრები და დურგლები დიდ ფაციფუცში იყვნენ, — სახლებს ცოცხალი ყვავილებით, წიწვოვანი გირლანდებით და ნოხებით რთავენ. ყველგან — ქუჩებში, მოედნებზე, შენობიდან შენობაზე გადაზიდული ალისფერი ლოზუნგები, პლაკატები, ტრანსპარანტები, დროშები, ბაირაღები, ბელადთა უზარმაზარი სურათები და ილნათურათა ჭრელ-ჭრულა მძივები ეკიდა, ყველგან ხალისიანი სიცილ-ჟრიამული გაისმოდა.

---

*) რომანიდან „შთაგონება“.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

მეცნიერების, გამოგონების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სტალინური პრემიების მინიჭების წესის შეცვლის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1940 წლის 20 დეკემბერს დაადგინა:

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 20 დეკემბრის დადგენილების შესაცვლელად, 1940 წლისათვის, როგორც გასული წლების მიღწევათა მიმართ შეჯამებული წლისათვის სტალინური პრემიები მიენიჭოს არა მარტო 1940 წლის განსაკუთრებული მუშაობისათვის, არამედ უკანასკნელი 6-7 წლის მუშაობისათვისაც.

2. ამის შესაბამისად, დაწესდეს შემდეგი რაოდენობის სტალინური პრემიები.

ა) პირველი ხარისხის სამ-სამი პრემია მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში განსაკუთრებული მუშაობისათვის 100 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული და მეორე ხარისხის 5 პრემია 50 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული:

1) ფიზიკურ-მათემატიკურ მეცნიერებათა,
2) ტექნიკურ მეცნიერებათა,
3) ქიმიურ მეცნიერებათა,
4) ბიოლოგიურ მეცნიერებათა
5 სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა,
6) სამედიცინო მეცნიერებათა,
7) ფილოსოფიურ მეცნიერებათა,
8) ეკონომიურ მეცნიერებათა (სტატისტიკის ჩათვლით),
9) ისტორიულ-ფილოლოგიურ მეცნიერებათა,
10) იურიდიულ მეცნიერებათა,
11) მუსიკის,
12) ფერწერის,
13) ქანდაკების,
14) არქიტექტურის,
15) თეატრალურ-დრამატიული ხელოვნების,
16) საოპერო ხელოვნების,
17 საბალეტო ხელოვნების,
18) კინემატოგრაფიის დარგში;

ბ) სამ-სამი პრემია, 100 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული, განსაკუთრებული ნაწარმოებებისათვის ლიტერატურის დარგში, აქედან:

სამი პრემია—პოეზიაში,
სამი „ —პროზაში,
სამი „ —დრამატურგიაში,
სამი „ —ლიტერატურულ კრიტიკაში;

გ) თვალსაჩინო გამოგონებისათვის (კერძოდ სამხედრო გამოგონებისთვისაც): პირველი ხარისხის ოცდახუთი პრემია 100 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული, მეორე ხარისხის ორმოცი პრემია 50 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული, მესამე ხარისხის სამოცი პრემია 25 ათასი მანეთის რაოდენობით თვითეული.

3. წინადადება მიეცეს მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგში სტალინური პრემიების კომიტეტს და ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში სტალინური პრემიების კომიტეტს 1941 წლის 15 იანვრისათვის დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავისი წინადადებანი სტალინური პრემიების მინიჭების წესის ამ შეცვლის შესაბამისად.

მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ფილიალი მწერალთა კავშირში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის ინიციატივით მწერალთა კავშირში ჩამოყალიბდა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ფილიალი. მის მსმენელებად უმთავრესად მწერლები არიან. ლექტორებად მოწვეულნი არიან საუკეთესო ძალები.

17 იანვარს დაიწყო მუშაობა მწერალთა კავშირთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტის ფილიალმა. პირველი ლექცია ფილოსოფიის ისტორიიდან წაიკითხა პროფ. **ქ. ბაქრაძემ**.

დამსწრე მწერლებმა დიდის ინტერესით მოისმინეს ლექცია.

მოკლე ხანში ფილიალში დაიწყება ლექციები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიიდან.

ორი ლექსი

გიორგი კაჭახიძე

რადიო

არის თამამი, აქვს მოკრძალებაც,
ხმა არ უწყდება უამინდობით.
ადრე იღვიძებს, მომესალმება,
მეტყვის ხმამაღლა: „დილამშვიდობის!“
არც შეძახება, არც დაბრიყვება
ჩემგან არ არის, ხელს რომ უშლიდეს.
ყელს გაიწმინდავს და მომიყვება
ამბებს წუხანდელს, ამბებს გუშინდელს.
გმირებს, ნაცნობებს ბევრჯერ შემყარ
მყუდროებას და ღიმილს ნაჩვევი.
შემომატარა ბევრჯერ ქვეყანაც
და მეზობლების ეზო-ბაღჩები.
მზესთან, მთვარესთან ნასაუბრები
ნათელ გონებას უღებს ცის კარებს.
ხან ამაღელვებს ომის ღრუბლებით,
ხან სიმღერებით სულს გამიხარებს.
შუაღამემდე მისი ხმა, ღონე
ღვივის, ვით ქვეყნის აღორძინება,
შემდეგ, შუქივით სევდის არმქონეს,
გზა არ სჭირდება, არც გაცილება,
კრემლის საათის ხმას გამაგონებს
და სივრცეებში ჩაეძინება.

ჩვენი უბნის ბაზარზე

ხშირად მხვდები ჩვენს ბაზარზე ლურჯი ჩანთით,
გარჯა გშვენის ახალგაზრდა დიასახლისს.
შენ აქ ხალხში ყვავილივით მუდამ ჩანდი,
დღესაც მატებ ამ გარემოს ეშხს და ხალისს.
დღესაც უხვად შემოსულა სანოვაგე,
მზეც ჭარმაგი ოქროებად სხივებს ფანტავს.
ხიბლავს ღიმით თვალს მუხრანის ვაშლის ბაგე
და ღვივის წითლად ლოყა გორის ატამს.
ნამით სოველ ორთაჭალის ცოცხალ მწვანილს
შეხიზნია კალმახებით სავსე თეფში.
ვარიები, სულ ნორჩები, შესაწვავი
წყნარად სხედან წნელით მოწნულ გალიებში.
თეთრ მოხარშულ გოგრას ჰყიდის დედაბერი,
კოჭებამდე თალხისფერი კაბა ფარავს.
ლალის დარად ჩანს ჭიქებში ღვინის ფერი
და ცინცხალი ცვივა კახურ ჭაჭის არაყს.
შემოდგომის სიუხვეა, ცა განაზდა,
ხეივანი ამზეურებს ყვითელ ფარჩებს...
მომღიმარი, ნათელი და ახალგაზრდა
მიმოდიხარ, სანოვაგეს და ხილს არჩევ.
კმაყოფილი დაბრუნდები შინ ხორაგით,
თავსაფარით თავს შეკრავ საგანგებოდ;
ლამაზი ხარ, შენ გექნება ხელიც კარგი
და ექნება ნახელავსაც სულ სხვა გემო.
ვით მოკეთე, მინდა ვიყო შენთან სტუმრად,
ვოცნებობდე, ვერთობოდე გრძნობის ქარში;
ვნახო, როგორ მოხდენილად გაშლი სუფრას,
როგორ თბილად გაუღიმებ გულით ქმარ-შვილს.
მსურს გმირებზე მოსაუბრეს მოგისმინო,
სავსე სუფრის სილამაზით დავტკბე დიდხანს;
შევსვა შინი მოტანილი ჭიქით ღვინო,
გადღეგრძელო, და მადლობა მორცხვად მითხრა.

---

21 იანვარს, საღამოს 8 საათზე მწერალთა კავშირის კლუბში გაიმართება

ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის **ი. აბაშიძე.**

ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს **შ. რადიანი.**

სიტყვებით თემაზე—ლენინი და ხელოვნება—გამოვლენ: **დ. შენგელაია, ლ. ქიაჩელი, ბ. ჟღენტი, ე. ასტვაცატუროვი.**

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები: **გ. ტაბიძე, ა. მაშაშვილი, ნ. ჩიქოვანი, ი. ვაკელი, ა. აბაშელი, ი. მოსაშვილი, ს. ეული, კ. კალაძე, გ. ქუჩიშვილი.**

შიო არაგვისპირელი

(გარდაცვალებიდან 15 წლისთავის შესრულების გამო)

ს. ჭილაია

შიო არაგვისპირელის გამოჩენამ სალიტერატურო ასპარეზზე იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. აკაკი წერეთელი აღტაცებით წერდა: „ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოა არაგვისპირელი მისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით. მისი ზეგავლენითა და მიმბაძველობით ბევრი წერს. თითქმის სკოლა შექმნა“.

იშვიათად ღირსებიათ ჩვენში გამოჩენილ მწერლებსაც კი ისეთი დიდი ყურადღება და დაფასება, როგორიც შიო არაგვისპირელის მხატვრულ შემოქმედებას ერგო წილად. არაგვისპირელი სულ მოკლე ხანში გახდა პოპულარული მწერალი.

რა იყო ამისი მიზეზი?

შიო არაგვისპირელი იმ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როდესაც ქართულ პროზაში ილია ჭავჭავაძის სკოლის პრინციპი ბატონობდა. ილია ჭავჭავაძემ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ პროზას. და ეს ახალი ფორმა პროზისა უანდერძა მან მთელ მე-19 საუკუნეს. ილია ჭავჭავაძის შემდეგ ქართული პროზის თვალსაჩინო რეფორმატორი შიო არაგვისპირელი იყო. შიო არაგვისპირელის მომხიბლავი პოეტური ფერადებით შექმნილი ფსიქოლოგიური ეტიუდები და ნოველები ევროპისა და რუსეთის ლიტერატურის ანალოგიებით აღებდა ახალ კარებს ქართულ პროზაში.

შიო არაგვისპირელმა ქართული პროზის ტრადიციულ გზას — ფართო მხატვრულ ტილოებს დაუპირდაპირა მოკლე და მკაცრი კომპოზიციით შეკრული ფსიქოლოგიური ეტიუდი და ნოველა, სადაც მწერლის მისნობის ვიზიონერული ძალა ყველაფერს აცოცხლებს, შედეგი, რომელსაც არაგვისპირელმა მიაღწია, მეტად დიდი იყო. მან მოგვცა ქართულ მწერლობაში საუკეთესო ნიმუშები ნოველისა, ეტიუდისა, ესკიზისა და საერთოდ მცირე ფორმის თხრობითი ნაწარმოებისა. და ამ გარემოებამ გახადა შიო არაგვისპირელი პოპულარული მწერალი და განაკუთვნა ქართველ სახელოვან მწერალთა მწყობრს.

შიო არაგვისპირელის შემოქმედება ლიტერატურული ფორმალური ძიებით დაიწყო. ეძებდა რა მწერლობისათვის ახალ ფორმას, იგი მოპასანისა და ჩეხოვის მსგავსად ძირითადად სარგებლობდა ეტიუდისა და ნოველის ფორმით.

შ. არაგვისპირელი მცირე ფორმის ნაწარმოებთა დიდი ოსტატი იყო. არაგვისპირელის ნოველები ეხებიან მოვლენათა ცალკეულ ეპიზოდებს. რთული და ვეებერთელა სინამდვილე არაგვისპირელის აპერცეპციაში დაშლილია ცალკე შთაბეჭდილებებად. მოვლენა, საგანი წარმოადგენს შთაბეჭდილებათა ჯამს. არაგვისპირელს თავის ნაწარმოებთა სუჟეტურ მასალად აღებული აქვს ამ მთლიანის ერთი ელემენტი, ადამიანის ცხოვრების ერთი მხარე. აქედან წარმოსდგება მის ნაწარმოებთა კომპოზიციური თვისებანი: მცირე ფორმა თხრობისა, მოვლენათა ეპიზოდურობა, მომქმედ პირთა სიმცირე, სიტყვიერ მასალათა ჭედადობა და სხვ. მაგალითისათვის თუ შევადარებდით არაგვისპირელისა და ილია ჭავჭავაძის წერის სტილს, მათ შორის აღმოჩნდებოდა პრინციპული განსხვავება. ილია თავის ნაწერებს აგებს ახსნითს პრინციპზე. მკითხველისათვის მწერალი არ სტოვებს არც ერთ გაუნათებელ ადგილს ნაწარმოებში. აქ ყველაფერი ახსნილია იმ თავითვე. ილია ჭავჭავაძე აღწერს მომქმედ პირს მთელი თავისი თავგადასავლით. იწყებს ჩამოყალიბებული გმირით, შემდეგ აჩერებს თხრობას და უბრუნდება თავიდან იმის ახსნას, თუ როგორ ჩამოყალიბდა ეს გმირი ამგვარად. იგი აღწერს გმირის დაბადების, აღზრდის და ცხოვრების მომენტებს, ზოგჯერ წინაპრებსაც კი. ილია ჭავჭავაძეს აუცილებლად მიაჩნდა აღწერა არა მარტო მომქმედი პირის თავგადასავალი, ხასიათი, ქცევა; მას მკითხველის ყურადღება გადაჰქონდა მომქმედი პირის ცალკეულ დამახასიათებელ სიტყვებზე, ინტონაციაზე და ამ გზით აღწევდა იმას, რომ ჰქმნიდა მკითხველისათვის მთლიან წარმოდგენას პერსონაჟზე. შიო არაგვისპირელმა წერის ეს ხერხი შესცვალა. არაგვისპირელის წერის სტილისათვის არ არის დამახასიათებელი ახსნითი პრინციპი. იგი იძლევა ჩამოყალიბებულ, გამზადებულ გმირს ცხოვრების ერთი მომენტით, მაგრამ არა ხსნის, თუ როგორ გადაიქცა იგი ამგვარად. არაგვისპირელი გმირს ღებულობს მოქმედების მომენტიდან და მკითხველს ორიოდე შტრიხით აძლევს მას. არაგვისპირელს აუცილებლად მიაჩნია გამოიწვიოს მკითხველის აქტიობა. ამიტომ ყოველმხრივ და ბოლომდის არ ანვითარებს აზრს. მწერალი მკითხველს არ აძლევს მოვლენის ბოლომდის ახსნას. შტრიხებისა, მრავალწერტილებისა და წუთიერი განათების გზით მკითხველს აძლევს ბიძგს წარმოსახვისა და აზრისათვის. არაგვისპირელს მკითხველი შეჰყავს ნაწარმოების ძირითად აზრში და „აიძულებს“ მას, ბოლომდის „ახსნას“ ის, რაც მან შეგნებით დასტოვა „აუხსნელი“. ამიტომ თხრობა მიდის ძლიერი ექსპრესით, მაშინაც კი, როცა საქმე გვაქვს სქელტანიან ნაწარმოებთან (მაგ., „გაბზარული გული“).

შიო არაგვისპირელის ძირითადი სტილი სრული სახით ნოველის ფორმაში გამოვლინდა. შიო არაგვისპირელის ნაწერებში დაცულია ნოველის სტილი. არაგვისპირელის ნოველების თემა ყოველთვის მარტივია, უბრალო, წვრილმანი, მაგრამ ეს უბრალო ამბავი გაცოცხლებულია ღრმა პოეტური სულით. არაგვისპირელი პატარა ადამიანის „უბრალო ამბავს“ ღრმა ფსიქოლოგიურ დრამად აქცევს. და ამაში გამოჩნდა არაგვისპირელის ძლიერი სამწერლო ნიჭიც.

შიო არაგვისპირელს ჰქონდა იშვიათი ნიჭი მოვლენათა უსაზღვრო ზღვიდან ამოერჩია უბრალო დეტალი, აეკინძა საინტერესო მასალად და ექცია იგი ძლიერ ფსიქოლოგიურ დრამად, და ყველაფერი ეს გამოეხატა საინტერესო ფსიქოლოგიური ნოველისა და ეტიუდის ფორმაში.

ამ ფსიქოლოგიურმა ეტიუდებმა და ნოველებმა გამოაჩინეს და აამაღლეს იგი, როგორც უნაზესი განცდებისა და „პატარა თემის“ დიდი ოსტატი.

შიო არაგვისპირელი არა მარტო ფორმით იყო ახალი მოვლენა ქართულ პროზაში, არამედ თემატიკითაც. შიო არაგვისპირელმა კარგად შენიშნა და მოხერხებულად გაგვაცნო 900-იან წლებში ჩვენს საზოგადოებრივ ყოფაში დამკვიდრებული ახალი სინამდვილე. არაგვისპირელის ნოველებსა და ეტიუდებში მკაფიოდ გამოჩნდნენ ქალაქური ცხოვრების შავი ლაქები, კაპიტალისტური საზოგადოების უარყოფითი შედეგები. შიო არაგვისპირელმა, ადამიანის „ბედის“, მისი რაობისა და ყოფის საკითხები თავის ფსიქოლოგიური ნოველებისა და ეტიუდების ძირითად საგნად გადააქცია. რა არის ადამიანი, რა უფლებანი და შესაძლებლობანი აქვს ადამიანს კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში, როგორია დამოკიდებულება ადამიანსა და საზოგადოებას შორის? — აი რა საკითხები აწუხებდა მწერალს.

შიო არაგვისპირელი პასუხს იძლევა ამ კითხვებზე. ადამიანი მთელი თავისი სიძლიერითა და სისუსტით, სიმშვენიერითა და სიმახინჯით აღწერილი აქვს არაგვისპირელს. ადამიანის გონება თავისუფლებისა და ბედნიერების დაუცხრომელი მაძიებელია. სინამდვილეში-კი ადამიანთა უმრავლესობას წართმეული აქვს ეს თავისუფლება და ბედნიერება. კაცობრიობის უმრავლესობა სხვის მორჩილებასა და მონობის ქვეშ ჰლევს ცხოვრების დღეებს. ადამიანი, ცხოვრების გვირგვინი, ბუნების მეფე, ამავე დროს მისი მორჩილი მონა — ასეთ წინააღმდეგობათა ხლართში არიან მოქცეული არაგვისპირელის ადამიანები.

შ. არაგვისპირელის აზრით, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ცხოვრება მახინჯია და ამან თავის მხრივ პიროვნებაც დაამახინჯა. კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ადამიანი ნივთად გადააქცია, იგი ფეხქვეშ სთელავს პიროვნებას. კაპიტალიზმი ისე ექცევა ადამიანს, როგორც გულქვა დედინაცვალი.

კაპიტალისტურ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ამოუვსებელი უფსკრულია შექმნილი. კაპიტალისტურმა საზოგადოებამ დაამახინჯა ადამიანი, იგი მატყუარა, თვალთმაქც და ორპირ პიროვნებად გადააქცია. ადამიანმა დაჰკარგა გულწრფელობა. გულწრფელობას არსად არა აქვს ადგილი — მას კაპიტალისტური ქისა სცვლის („გმადლობ, უფალო, გმადლობ“ და სხვ.).

ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ ადამიანს ნორმალური ცხოვრების პირობები წაართვა. პიროვნება შთანთქა კაპიტალისტური საზოგადოების უწესრიგობამ („ეჰ, ჯანდაბას ჩემი თავი და ტანი!“, „მომილოცნია ახალი წელი!“).

შ. არაგვისპირელმა მწვავედ გააშიშვლა ექსპლოატაციაზე აგებული საზოგადოების არსი. იგი, როგორც ნიჭიერი დოსტაქარი, ისე სინჯავს სინამდვილეს, გაფაციცებით დაეძებს ადამიანის არსების მიზანს, ბედნიერებას, სიყვარულს, თავისუფლებას. მაგრამ ცხოვრების მახინჯი სურათები აიძულებენ მას, არაფერი იწამოს ასეთ საზოგადოებაში, არც ადამიანი არც მეგობრობა, არც სიყვარული, ვინაიდან არც ერთი არ არსებობს, — უკეთ: ადამიანს წაართვეს ეს ბედნიერება.

ბურჟუაზიული საზოგადოების ამ პირობებში იქმნებოდა მარტოობის, უიმედობისა და დაცემულობის განწყობილებანი („ადამიანი“, „შემმუსვრელი სამი ცნება“, „ბუნების მეფენი“ და სხვ.)

შ. არაგვისპირელის გმირებს გარს არტყია ცხოვრების სიცრუე, პირმოთნეობა, გაუტანლობა, ეგოიზმი, ისინი კაპიტალისტური საზოგადოების წუმპეში ჭყუმპალაობენ. არაგვისპირელის გმირები უმთავრესად ცხოვრების კალაპოტიდან ამოგდებული წვრილბურჟუაზიული განაწირი ადამიანები არიან. მიუხედავად ამისა, არაგვისპირელი, როგორც რეალისტი მწერალი, ეძებდა რა ადამიანის ადგილსა და დანიშნულებას საზოგადოებაში, შემდეგ დასკვნამდე მივიდა: მართალია, კაპიტალისტური საზოგადოება წარმოადგენს ჭაობს, რომელიც გარს არტყია ადამიანს და მუდამ მზად არის თავის მორევში ჩაითრიოს იგი, პიროვნება მაინც ვალდებულია იბრძოლოს „ჭაობის ნაკადულად გადასაქმნელად“. ასეთი მოწინავე იდეების შემცველი ნაწარმოებები აქვს არაგვისპირელს („ციცინათელა“, სამარცხვინო ბოძთან“ და სხვ.).

შიო არაგვისპირელი ხან დაღვრემილი, სევდიანი თვალებით გამოიყურება თავის ნაწერებიდან, ხან კიდევ არწივის თვალებით უსწორდება ჩვენს სინამდვილეს. მის ნაწერებში არის ერთგვარი ღელვა, შინაგანი სულიერი ბორგვა, მერყეობა და შიში. ზოგჯერ წყვდიადს მოუცავს მწერლის ფიქრები, ზოგჯერ კიდევ მომავლის იმედი, გამარჯვების მოლოდინით გამოწვეული სიხარული ისმის მის ნაწარმოებებში. ძალიან ხშირად ეს იმედი ბრძოლის ჟინით აღანთებს მის გმირებს.

დედისეული ძეწკვი*

სოლომონ თავაძე

სულ რამდენიმე წამი გავიდა, სასაუზმო საყვირის ხმა რომ სივრცეში ჩაინთქა. მთელ ქარხანაში მყუდროება დამყარდა.

აღარ ისმოდა ქურებისა და უროების გუგუნი, არც მანქანებისა და ონკანების ჩახჩახი.

გიორგიმ მადიანად ისაუზმა და, გარედ რომ გავიდა, განმარტოებით გავლა მოისურვა. ამხანაგებს გვერდი აუარა და იასამნის ბუჩქისაკენ შეუხვია.

ერთობ კარგ გუნებაზე იყო და თვალუწვდენა გაზაფხულის ელფერი ხიბლავდა. გრძნობდა, რომ ამ ნორჩი ყვავილებისა და ფოთლების ელვარებაში, ღიმილით გაფურჩქვნილ სიცოცხლის სუნთქვაში მისი გულიც შეხმატკბილებულად სძგერდა.

უახლოვდებოდა იასამნის ბუჩქს და სულ არ ახსოვდა, ტანთ რომ შემურული სამოსი ეცვა, შუბლის ღარზედაც მცირეოდენი ჭვარტლი ეცხო; აყვავებულ ველზე სანავარდოდ გამოსული ყმაწვილივით უჩქროლავდა გული...

— ამხანაგო გიორგი, გადმოუხვიე ერთი აქეთ.

გიორგი შესდგა და უსიამოდ გაიხედა ლიანდაგიან გზისაკენ, საიდანაც ხმა მოესმა.

ეს პარტკომის მდივანი დიომიდე ოთარაშვილი იყო. დიდი ხანი არაა, რაც ის აქ დაინიშნა და ქარხანას ახლა ეცნობოდა. თეთრგვრემანი, ჭროლა-თვალებიანი ჭაბუკი იყო დიომიდე, ტანადი, მკვირცხლი, მხოლოდ საუბარში არასოდეს არა ჩქარობდა, მეტად დინჯად მეტყველებდა.

— ხომ იცი, ამხანაგო გიორგი, ამ საღამოს პარტკომის სხდომა გვაქვს და არ დაიგვიანო. ძალზე სერიოზული საკითხია.

გიორგიმ ხელი მაგრა ჩამოართვა და ღიმილით ჰკითხა:

— მაინც რაა ისეთი?

— რევაზ კორდელის საქმე უნდა განვიხილოთ.

— რევაზის?!

— ჰო... რამ გაგაოცა? ნუ თუ კორდელისაგან ცუდს არაფერს მოელოდი?

—რა დაუშავებია? არის რაიმე დამამტკიცებელი საბუთი?

— ბევრი რამ... უმთავრესი მაინც სახსრების განიავებაა და... ჰო, ერთი სიტყვით, სხდომაზე ყველაფერი გამოირკვევა.

სთქვა ეს დიომიდემ და გზა განაგრძო.

გიორგიმ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და უცებ მოეშვა, სვლა დაუმძიმდა, ისეთი განცდა დაეუფლა, თითქო რომელიღაც უფსკრულის პირად ფლატე შვავდებოდეს, მისი ნანუ იდგეს ზედ, დახმარებას საჭიროებდეს და გიორგის კი არავითარი ძალა არ გააჩნდეს.

სიზმარში თუ განუცდია ასეთი უმწეობა. გამოღვიძებაა და თავისუფლად ამოუსუნთქავს გახარებულს. მაგრამ ახლა რომ არ ეღვიძება! თან ისეთ მარტოობას გრძნობს, თითქო მთელ ქვეყანას მისგან პირი ებრუნოს...

„ხედავ, როგორ ყოფილა საქმე! — იდუმალად ამბობდა გიორგი. — რამ დამაბრმავა, რატომ ვერ ავუღე ალღო?... არა, წვეულებაზე აკი რამდენჯერმე გამკრა გულში, ჩვენი კაცი არ უნდა იყოს-მეთქი... მერე? ეჭვი ახლოს არ გავიკარე... ეჰ, შენ ჩემო თავო! ყველაში კარგი გინდა დაინახო... მოიცა, ეგება ცილისწამებაა. აჰ, რა ბედნიერი ვიქნები, რევაზი რომ უდანაშაულო აღმოჩნდებოდეს!.. მაგრამ არა, დიომიდე ასე გადაჭრილად არ იტყოდა... შენ რას იზამ ახლა, ჩემო ნანუკა? ვაი თუ...

აზრი აღარ დაუმთავრებია, იასამნის ბუჩქთან შეჩერდა და ნაზად შეახო თითები ნორჩ ყვავილს, თითქო ისევ პატარა გოგონაა ნანუ და მის კულულებს ელერსებაო.

მერე უცებ წარბები შეიჭმუხნა, ხელი მოწყვეტით ჩაიქნია და საამქროსაკენ გაემართა.

არც ერთი წამი არ გაუცდენია იმ დღეს გიორგის, ჩვეულებრივი გატაცებით მუშაობდა. მხოლოდ გონების ერთ კუნჭულში ღვივოდა სახმილი დარდისა და შესვენების დროს მძაფრად დაუვლიდა მთელ სხეულში.

* * *

საშინელი იყო ნანუსთვის ეს ღამე. სტუმრები რომ წავიდნენ, რევაზმა ძალით შეიყვანა ოთახში.

უმწეოდ ჩაიკეცა ნანუ სკამზე. თავი ჩაღუნა, ეშინოდა, ზევით არ ავიხედო და რევაზის სახე არ შემომეფეთოსო. ნანუს სძულდა ახლა ეს სახე.

— ყველაფერს მოვსწრებივარ, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავს! — ჩაილაპარაკა რევაზმა და ოთახში გაიარგამოიარა. მერე მივიდა და კარები ჩაკეტა, თითქო ეშინიან, ნანუ არ წამოხტეს და არ გაიქცესო. მობრუნდა, ნანუს თვალი დაასო და გაიფიქრა: „ნეტავი რა მოეჩვენა?“ არჩია მოფერებით დაეწყო საუბარი.

— ნანუ, მიკვირს შენი საქციელი!— დამტკბარი ხმით სთქვა და მიუახლოვდა, უნდოდა ნაზად მოესვა თავზე ხელი, მიალერსებოდა.

— არ მომეკარო! — შესძახა ნანუმ და წამოდგა. სახეზე შეხედვა მაინც ვერ შესძლო, ხელებზე მიაცქერდა მხოლოდ. ფერგამკრთალი ლაწვები უთრთოდა.

რევაზს გული მოუვიდა, თვალები მოჭუტა და მკაცრად შეუტია:

— რა მოგივიდა, ქალო? რატომ არ იტყვი? რაა ეს ბოლოს და ბოლოს? იქნება ვინმემ გაწყენია, თქვი, ენა ხომ არ გაქვს ჩავარდნილი?..

— ვითომ არაფერი იცის! ცბიერი! საძაგელი! — უნებლიედ აღმოხდა ნანუს.

— რა უნდა ვიცოდე? შენ მართლა ხომ არ შეიშალე?

ახლა კი თავი ველარ შეიკავა ნანუმ, რევაზს თვალი გაუსწორა და უცნაურად შეცვლილი ხმით ჰკითხა:

— ვის ეხვეოდი წელან? ასე მალე დავავიწყდა?

რევაზმა თავი ასწია, პირი შეაბრუნა და ყური მიაპყრო, თითქო ნანუს სიტყვები კარგად ვერ გაიგონაო. მერე გაოცებულივით ახედდახედა ნანუს.

— აჰა, ეს არის? — წამოიძახა და ხმამაღლა გაიცინა. გაიარ-გამოიარა, ნანუს სიახლოვეს შესდგა და ირონიული ხმით უთხრა: — მოგჩვენებია, ჩემო კარგო! ხომ იცი, რომ ეჭვიანებს ჰალუცინაცია სჩვევიათ... საიდან სადაო! აბა, ისიც სთქვი, ვის ვეხვეოდი?..

— ჰო, რა საზიზღარი, რა საძაგელი ყოფილხარ!

შეჰყვირა ნანუმ და ზიზღით ხელი ჰკრა მიახლოვებულ რევაზს.

გაბრაზდა რევაზი.

— აგერ კედელი, ასეც გიქნია, თავი მიგიტეხია ზედ! ტყვილად კი არ გეძახის დედაჩემი უჯიშოს!.. მე არ მცალია ახლა შენი კაპრიზებისთვის. დილის ქარხანაში გადაუდებელი საქმე მაქვს.

წარმოსთქვა ეს და ოთახიდან გავიდა. მალე შემობრუნდა, ტანთ გაიხადა და ისე ჩაწვა ლოგინში, რომ ნანუსათვის ხმა არ გაუცია.

დიდხანს იყო ნანუ გარინდული.

ბოლოს ჩაძინებული რევაზის ფშვინვამ შეაკრთო.

ირგვლივ მიმოიხედა, ყველაფერი ფერშეცვლილად ეჩვენა, ყველაფერი შეეზიზღა...

ადგა. ბერეტი დაიხურა. პალტო ჩაიცვა. ყუთში დედისეული ვერცხლის ძეწკვი მოსძებნა და ჯიბეში ჩაიდო. მაჯიდან რევაზის მიერ ნაყიდი ოქროს საათი მოიხსნა და მაგიდაზე დაავდო.

გადადგა ნაბიჯი და უცებ შესდგა. ხომ არაფერი რჩება აქ? თითქო გული სწყდება. რატომ სწყდება გული?

საიდანღაც დაიძრა შინაგანი ძგერა და გულს შემოეჭდო, მძაფრად შემსჭვალა; მერე ალივით შემოენთო. ანაზდად თითქო ნიავმა დაუბერა და ნელთბილად შემოეღვარა ეს ქვეშეცნეული გრძნობა...

ამას რა უყოს?.. ამას რა ეშველება?..

თვალები ცრემლით ამოევსო...

თანდათან გაიფანტა თითქო უცნაური ბურუსი...

ღიმილით უახლოვდება რევაზი. სრულიად არ შეცვლილა, ისევ ის არის... განა შეიძლება გახუნდეს ეს იერი? იგი ხომ თვითონ სიცოცხლეა? უიმისოდ ხომ მთლად გამოიფიტება ნანუ?.. სად უნდა წავიდეს, როგორ გადადგას ფეხი სიცარიელეში?..

წავიდეს და „ამას რა უყოს? ამას რა ეშველება?..

მუხლები აუკანკალდა; უნდოდა ჩამომჯდარიყო და ქვითინით შეემსუბუქებინა ეს აუტანელი წამება.

მაგრამ ამ დროს ისევ ფშვინვა მოესმა.

„მე რა დღეში ვარ, მას კი სძინავს!..“ გაუელვა და თვალთაგან რისხვის ნაპერწკლები გადმოსცვივდა...

კარი სწრაფად გაალო, კიბეზე ჩაირბინა.

განთიადი ახლოვდებოდა. კრიალა ცაზე ვარსკვლავები შუქმილეულად ციმციმებდნენ. აღმოსავლეთს შორი ნათელი ეფინებოდა. ქუჩაში მგზავრი იშვიათად თუ გამოჩნდებოდა. ირგვლივ დუმილი სუფევდა ისეთი, თითქო ღრმად ჩაძინებული ქალაქი საცაა გამოიღვიძებს და მრავალხმიანად აგუგუნდებაო.

აგერ ტრამვაის ვაგონმა გაიქროლა. სადღაც მანქანის სირენის ხმაც გაისმა.

ნანუ კი ვერაფერს ამჩნევდა. ვერც გაზაფხულის ალიონის სუნთქვა სწვდებოდა მის გაქვავებულ გულს. მიდიოდა და მხოლოდ ერთი გრძნობა შერჩენოდა: მალე, მალე უნდა გაეცალოს იმ გესლიან ოჯახს, ზეინაბს, ნატოს, საზარლად სახეშეცვლილ რევაზს. შორს უნდა წავიდეს, რომ მათი ხმა აღარ გაიგონოს.

ხიდზე უნებლიედ შესდგა ნანუ. მოაჯირს დაეყრდნო და მტკვრის ჩქრიალა ზვირთებს დააცქერდა.

აქა-იქ ნათურების შუქი გაბადრულიყო მდინარეში და მოოქროვილი თასებივით ლივლივებდნენ.

ძლივს ასწია თავი და სანაპიროს გაჰხედა უაზროდ. სულ არ შეუმჩნევია, კბოდეზე გადმომდგარი ხეები, ალიონის სუნთქვით ფოთლებ-ათრთოლებულნი.

მხოლოდ მაშინ იგრძნო რაღაც მაცოცხლებელი ძალა, როდესაც ჯიბეში დედისეულ ძეწკვს შეავლო ხელი.

გულის მღუღარება ყელში შემოაწვა და, თვალებში რომ ცრემლი ჩაუდგა, შვებით ამოისუნთქა. თანაც თითქო გარს შემოფენილი ბინდ-ბუნდი გაიფანტა და დედის სახე მოეჩვენა. მაგრამ ასე ცივად რატომ გამოიყურება დედა-მისი? რატომ არა შლის ხელებს, რომ გულში ჩაიკრას?.. აჰ, უკან იხევს საყვედურო სიტყვებს ეძებს... „შენ ხომ ჩემი ნანუ აღარა ხარ... სად დაღუპე შენი ახალგაზრდობა?“.

არა, ეს დედის ხმა არ იყო, თვითონ გაივლო ნანუმ გულში.

თავი დახარა.

ირგვლივ კვლავ სდუმდა ყველაფერი. სად გაჰქრა დედა-მისი? რატომ აღარ ესმის მისი ხმა? როგორ აიტანოს ეს წამება?..

არა, დედა არ მიატოვებს ახლა ნანუს... აგერ გვერდით ამოუდგა ის... თავზე თითქო ხელი გადაუსვა. არაფერს არ ამბობს, მაგრამ ნანუს გულისყურს მაინც სწვდება მისი სიტყვები:

„დამშვიდდი, შემოგევლე, გული გაიმაგრე!.. მამა-შენს არ დაანახო ცრემლები ცოდოა... ჰო, შენც ცოდვა ხარ, ჩემო ერთად-ერთო, შენც გიჭირს, შვილო, მაგრამ განა აგრე უნდა დაეცე?.. ვიცი, რაც გაწამებს. შენ გგონია, დაინგრა შენი წილი ქვეყნიერება? არა, არაფერიც არ დანგრეულა. ეს მხოლოდ შენი ოცნება იყო, შენ თვითონ შექმენი ის და მზაკვარს მოახვიე. ახლა ჩამოხადე პირბადე და ოავზარი დაგეცა... დამშვიდდი ახლა. ჩაუკვირდი. განა ყველაფერი ოქროა, რაც გარეგნულად ბზინავს? მთავარი ისაა, თუ ვის რა უდევს სულში. ქვეყანა ჭრელია, შვილო. შენ კი გამოუცდელი იყავი, ალალი გული გაქვს და ყოველი ღიმილი მართლა ღიმილი გგონია.“

„ვის რა უდევს სულში?“ — ჩაილაპარაკა ნანუმ და თავი ასწია, სივრცეს გაჰხედა.

კომკავშირის ხეივანზე ჩამწკრივებულმა ლაჟღაჟა ნათურებმა მიიპყრო მისი მზერა. კვლავ დედის მოალერსე ხმა ჩაესწვდა გულში და ბავშვობის დროინდელმა მოგონებამ თვალწინ გაუელვა.

კრიალოსანივით შეატრიალა ნანუმ ხელში დედისეული ძეწკვი. სერზე მოკამკამე ნათურებს თვალი მოსწყვიტა, ირგვლივ მიმოიხედა და იგრძნო, რომ რაღაც ნათელი შემოეფინა.

ყრუ გუგუნი მოესმა, საიდანღაც ორთქლმავლის საყვირმა გაჰკვეთა სივრცე. მის პირდაპირ მომავალ მგზავრის სახეს მოჰკრა თვალი, გარემო შეიგრძნო ოდნავ და შინისკენ გასწია. ისეთი განცდა დაებადა, თითქო როგორღაც უცხო ხალხში დაბნეულიყოს და შორიდან დედის ძახილი ესმოდეს. უსიტყვოდ ეხმაურებოდა მისი გულისთქმა ამ ძახილს; მიისწრაფოდა და ეგონა, რომ უამრავ ხალხში გარეულ დედა-მისსაც სწვდებოდა მისი პასუხი:

— მოვალ, დედიკო, ახლავე მოვალ!..

მაგრამ სახლს რომ მიუახლოვდა, შესდგა, თავი გაიქნია.

„მამას ახლა სძინავს. ამ განთიადისას როგორ მოვუკლა გული“ —გაიფიქრა და გამობრუნდა. მძიმე ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას. ჯერ კიდევ ეძინა უბანს.

ტკბილი ძილი იცის გაზაფხულის ალიონმა.

მოსახვევთან გაშეშდა ნანუ. მოჩვენება ხომ არაა? ნუთუ ეს მამა-მისია?! სამუშაო სამოსი აცვია. ამ დროს ქარხანაში რა უნდოდა?!

მძიმედ ჩაფიქრებული, თავდახრილი მოდიოდა გიორგი კრებიდან. იქ ნიღაბი ახადეს რევაზ კორდელს. მოდიოდა და ნანუზე ფიქრობდა გულნაღვლიანი. უცებ თითქო რაღაც სხივი მოხვდა, თითქო თავისი ქალიშვილის სუნთქვა იგრძნო. თავი ასწია და...

ეს ხომ ნანუა!

მიიჭრა, ხელი მოხვია. თავი გადაუწია და სახეზე დააცქერდა.

— აჰ, შენც გაიგე, შვილო?.. ეჰ, შენ ჩემო თავო!..

---

*) ნაწყვეტი რომანიდან „ნანუ“.

მიკოლა ბაჟანი

ლევან ასათიანი

მიკოლა ბაჟანი საბჭოთა უკრაინის გამოჩენილი პოეტია. მისი სახელი, ისევე, როგორც სახელები პავლო ტიჩინასი, მაქსიმ რილსკისა, ვ. სოსიურასი და სხვა მოწინავე პოეტებისა, კარგად არის ცნობილი არა მარტო უკრაინაში, არამედ დიდი საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე ხალხებშიაც.

მ. ბაჟანი რთული და თავისებური ბუნების პოეტია. მან იმთავითვე მიიპყრო ყურადღება, როგორც ფილოსოფიური ლირიკის თვალსაჩინო წარმომადგენელმა საბჭოთა პოეზიაში. მის ლექსებს ჯერ კიდევ ადრინდელ ეტაპებზე ახასიათებდა ფორმის მაღალი კულტურა, მხატვრული განზოგადოების დიდი ძალა. მაგრამ მთელი რიგი წლების მანძილზე მიკოლა ბაჟანის თემატიკა, ისევე, როგორც მისი მსოფლმხედველობა, მეტად დაშორებული იყო თანადროულობის პრობლემატიკას და იდეურობას.

მ. ბაჟანის ადრინდელ შემოქმედებაში აღსანიშნავია ციკლი ლექსებისა, მიძღვნილი უკრაინელი ხალხის ღრმა წარსულისადმი. მთელ რიგ სონეტებში მ. ბაჟანმა რომანტიული ფერადებით ასახა ეპიზოდები და გადმოცემები უკრაინის ისტორიული ცხოვრებიდან: წარმართული ქორწილი, მონგოლების თავდასხმა, ქალების მოტაცება, პირველყოფილი რწმენა და ჩვეულებები. ამ ციკლს ეკუთვნიან სონეტები: „გვიმრა“, „ჟელეზნიაკის ღამე“, „ცისკარა“, „ბალახი როზმარინი“, აგრეთვე ლექსი „ტყვე ქალების სისხლი“ და სხვ.

მ. ბაჟანის კალამს ეკუთვნის მთელი წყება მოკლე ფილოსოფიური პოემებისა, სადაც მისი პოეტური შთაგონების თემას პირველ ხანებში შეადგენენ ზოგადი პრობლემები ადამიანური ცხოვრებისა, კაცობრიობის ისტორიული განვითარებისა, ეს პოემები არ წარმოადგენენ ჩვეულებრივ სიუჟეტიან ეპიურ ნაწარმოებებს, მათი შინაარსი არ ეხება ობიექტურ სამყაროს მოვლენებს და ფაქტებს მათს ცვალებადობაში. პირიქით, გარეშე მოვლენები ამ პოემებში იქცევიან ელემენტებად პოეტის შინაგანი მონოლოგისა, ობიექტებად, რომელზედაც შენდება გარკვეული ფილოსოფიური კონცეპცია ავტორისა. ისეთი ნაწარმოებები მ. ბაჟანისა, როგორიც არიან „შენობანი“, „რიცხვი“, „ჰამლეტის სიკვდილი“, „ვნებათა ტრილოგია“ და სხვ. წარმოადგენენ სავსებით ახალს ჟანრს საბჭოთა პოეზიაში—ერთგვარ პოეტურ - ფილოსოფიურ ტრაქტატებს, სადაც გამორიცხულია ეპოსის ელემენტი და ემოციური მომენტი დამორჩილებულია გონების ძალისადმი. თვით ხასიათი და ბუნება ამ პოემებისა მოითხოვს გარკვეულ რიტმიულ წყობას და ინტონაციურ თავისებურებას, რაც გამოიხატება გრძელი სტრიქონების მძიმე დინებაში და საზეიმო, პათეტიურ პოეტურ მეტყველებაში.

„ჰოფმანის ღამე“-ში, რომელიც 1929 წელს არის დაწერილი, ავტორი დიდის პოეტური ექსპრესით გვიხატავს „ძველ მეოცნებეს. სიზმრის მხილველს, საოცარ ფანტასტს“, მწერალ ჰოფმანს, გერმანული სამიკიტნოს უჩვეულო გარემოცვაში, მთვრალი ვაკხანალიის და ფანტასმაგორიულ ჩვენებათა ატმოსფეროში. ეს ლექსი მ. ბაჟანის ადრინდელ შემოქმედებაში წარმოადგენს ერთერთ უშესანიშნავეს ნაწარმოებს პოეტური ხედვის მძაფრი რეალიზმით, სახეებისა და მეტაფორების მოულოდნელი ელვარებით და საოცარი სიმკვეთრით. მაგრამ „ჰოფმანის ღამე“ წარმოადგენს მეტყველ პოეტურ დოკუმენტს სხვა მხრივაც. იგი გვიჩვენებს უდიდეს კრიზისსაც მ. ბაჟანის პოეტურ შემოქმედებაში, სრულს მოწყვეტას თანადროულობის აქტუალური საკითხებისაგან, ცხოვრებისათვის ზურგის შებრუნებას და უნაყოფო, მკვდარი, მწიგნობრული პოეტური კონცეპციების გაუვალ ტევრში დაკარგვას. ჰოფმანის ფანტასტიური სარდაფი ამ შემთხვევაში ალეგორიულად გამოხატავს თვით ავტორის ტყვეობას უცხო, იდეური და პოეტური კონცეპციების საპატიმროში.

„შენობანი“ (1929 წ.) უკვე ერთგვარ გარდატეხას მოასწავებს მ. ბაჟანის მსოფლმხედველობაში, თუმცა პოეტური გამოხატულების სისტემა იგივე რჩება. ეს ნაწარმოები ტრილოგიას წარმოადგენს, სადაც თემატიურ ობიექტებად აღებულია გოტიური ტაძარი, ძველი უკრაინული ჭიშკარი და თანამედროვე სახლი, როგორც ალეგორიული ნიშანი სოციალისტური მშენებლობისა. ამ ნაწარმოეში უკვე საგრძნობია კრიტიკული დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი და მასთან ერთად მოცემულია ერთგვარი სიმფონია სოციალისტური შრომისა, მაგრამ მეტად აბსტრაქტულ განყენებულ ფორმებში. უაღრესად რთული სისტემა პოეტური სახეებისა საშუალებას არ იძლევა გარკვეული, კონკრეტულ სურათებში იქნეს წარმოდგენილი რეალური სინამდვილე.

„ჰამლეტის სიკვდილში“ (1932 წ.) მ. ბაჟანი საბოლოოდ სწყვეტს კავშირს თავის იდეურ წარსულთან, ნაციონალისტურ სულისკვეთებასთან, ჰამლეტისებურ ეჭვთან.

პოემები „ვნებათა ტრილოგია“ (1933 წ.) და „მებაღე“ (1934 წ.) შემდგომ ეტაპებს წარმოადგენენ მ. ბაჟანის შემოქმედებითს განვითარებაში. „ვნებათა ტრილოგიაში“ ავტორი გვაცნობს ადამიანის მრავალფეროვან გრძნობათა ლაბირინტს: თანაგრძნობას, მოწყენას, შურს, ნაღველს, შიშს, სასოწარკვეთილებას. როგორც მათი კონტრასტს, პოეტი გვიჩვენებს ყველაზე ჰუმანიურ გრძნობას ზიზღისას ძველი სამყაროსადმი. მწერალი საშუალებას გვაძლევს განვიცადოთ გრძნობა უდიდესი სიხარულისა აწმყოთი, დღევანდელი სინამდვილით.

„ო, გული ყრმაა, ახალ სწრაფვით და
ცოდნით სავსე
და, აი, სახლში სიხარული შემოდის
მასთან,
ადგება გულიც და სიცოცხლის
ფესვდადგმულ მარცვალს
თავის სიმღერას—ყრმობასა და ხალხს
შესთავაზებს!“.

სავსებით ახალ ეტაპს და აგრეთვე დიდ მხატვრულ მიღწევასაც მ. ბაჟანის შემოქმედებაში წარმოადგენს მისი პოემა „კიროვი“ (1935-37 წ. წ.). შეიძლება ითქვას, რომ ეს პოემა საბჭოთა პოეზიაში ჯერჯერობით ყველაზე უფრო სერიოზული და მნიშვნელოვანი ცდაა რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის, ხალხის საზიზღარი მტრების მიერ მუხანათურად გულგანგმირული სერგეი მირონის-ძე კიროვის დაუვიწყარი სახის, მისი ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის გადატანისა დიდ მხატვრულ ტილოზე.

პოემაში მ. ბაჟანს აღებული აქვს სამი ეპიზოდი დიდი **სტალინის** შესანიშნავი თანამებრძოლის ცხოვრებიდან და ამის მიხედვით პოემა სამ თავად იყოფა. პირველ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „დროშა“, ასახულია ერთი დრამატიზმით აღსავსე მომენტი ამხანაგ კიროვის ახალგაზრდობის დროიდან. ტომსკში კიროვის მეთაურობით ეწყობა შეიარაღებული დემონსტრაცია მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ. დემონსტრაციას თავს ესხმიან პოლიცია და კაზაკები, დემონსტრანტებს ტყვიებით უმასპინძლდებიან. მრავალია დაჭრილი და დახოცილი. იღუპება დემონსტრაციის მედროშე, კიროვის მახლობელი მეგობარი კონონოვი. სიკვდილის წინ ის მაინც ასწრებს დროშის დაკეცვას და უბეში დამალვას. კიროვი ხელიდან უსხლტება პოლიციას. იმავე ღამეს ჟანდარმერიასა და კაზაკთა პატრულებისაგან შეუმჩნევლად იგი მიდის ქალაქში, პოულობს მოკლული მეგობრის გვამს და სისხლით მოსვრილ რევოლუციურ დროშას მის მკერდზე. ამ დროშას კიროვი იხსნის მეფის პოლიციისაგან, მეორე ნაწილი პოემისა—„ბრძოლის წინა ღამით“ — ეხება იმ მომენტს, როდესაც კიროვი იწყებს მუშაობას აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. პარტიის დავალებით იგი სათავეში უდგება საუკუნეთა მანძილზე და განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მუსავატისტებისა და დაშნაკების ფეხქვეშ გათელილ აზერბეიჯანის ხალხს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების წყალობით იწყებს თავის ახალ თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას, თავის ახალ ისტორიას. მესამე და უკანასკნელი ნაწილი პოემისა—„დღე“ — გვიხატავს კიროვს ლენინგრადში, როგორც ლენინგრადის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ორგანიზატორსა და სულის ჩამდგმელს სოციალისტური მრეწველობისა საბჭოთა ჩრდილოეთში. აქ მოცემულია უაღრესად ნათელი და მიმზიდველი სახე მგზნებარე რევოლუციონერისა, დიდი ბელადის შეუდრეკელი თანამებრძოლისა, რომელიც მთელ თავის უძლეველ ნებისყოფას, დაუშრეტელ შემოქმედებითს ენერგიას და ფიზიკურ ძალას სწირავს ხალხის საკეთილდღეო მოღვაწეობას.

პოემა „კიროვი“ გამთბარია უდიდესი სიყვარულით ადამიანისადმი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია **ლენინ-სტალინის** პარტიის დიადი იდეების განხორციელებას. კიროვის სახე პოემაში გვეხატება მთელი თავისი ადამიანური მომხიბლაობით, კეთილშობილებით და ამავე დროს გასაოცარი სიდიადით, რადგან რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის პროფილი პოემაში ნაჩვენებია საზოგადოებრივი ცხოვრების ასპექტში, სოციალისტური მშენებლობის ფონზე.

პოემას თავის დადებით თვისებებთან ერთად ახასიათებს ზოგიერთი ნაკლიც. ის არ არის თანაბარი სტილით დაწერილი ნაწარმოები. ეს უნდა ითქვას უწინარეს ყოვლისა მის კომპოზიციურ აღნაგობაზე. ცალკეული თავები პოემაში მტკიცე ფაბულური თანმიმდევრობით არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, ისინი დროით და მანძილით დაშორებულ სხვადასხვა ეპიზოდებს წარმოადგენენ პოემის გმირის ცხოვრებიდან. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ პირველი თავი განსხვავდება ორი დანარჩენი თავისაგან უფრო ეპიური ხასიათით, რაც მას მეტ დინამიურობას ანიჭებს.

საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ პოემა „კიროვი“ უდიდეს ნაბიჯს წარმოადგენს მ. ბაჟანის იდეურ და მხატვრულ განვითარებაში. თვით მასალა ამ პოემისა, მისი თემა, მოითხოვდა პოეტისაგან ძველი მხატვრული გამოსახვითი საშუალებების გადასინჯვას. აქ უკვე მინიმუმამდეა დაყვანილი მ. ბაჟანისათვის ჩვეული ბუნდოვანება და განყენებულობა სახეების სისტემისა, ნაკლებად ვხვდებით მწიგნობრულ და ეგზოტიურ შედარებებს, მეტაფორებს და სხვა.

მ. ბაჟანის იდეურ-მხატვრულ განვითარებაში მეტად საგულისხმო მიღწევებს წარმოადგენენ აგრეთვე უკანასკნელი დროის ლექსები: „დროშა, მზე და ქარი“, „დიდი დღე“, მიძღვნილი უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი, და განსაკუთრებით უღრმესი გულწრფელობით და მგზნებარე პათოსით გამსჭვალული ლექსი „კრემლში“, მიძღვნილი დიდი **სტალინისადმი**.

ასეთია მოკლედ მ. ბაჟანის შემოქმედებითი განვითარების გზა. პოეტური სიტყვის თვალსაჩინო ოსტატი, რომელმაც რთული და ძნელი იდეურ-მხატვრული ყალიბობის პროცესი განვლო, დღეს მთელი თავისი გულით, გონებით და შემოქმედებითი უნარით განაგრძობს მუშაობას საბჭოთა პოეტური კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

ჩვენი წარმოდგენა მ. ბაჟანის შემოქმედებაზე სრული არ იქნებოდა, თუ არ აღვნიშნავდით იმ ისტორიულ დამსახურებას, რომელიც მას მიუძღვის მშობლიური უკრაინის მხატვრული კულტურის წინაშე თავისი თარგმანებით.

მ. ბაჟანმა სთარგმნა რუსთაველის უკვდავი „ვეფხის-ტყაოსანი“. მთელი რიგი წლების განმავლობაში იგი ერთგულად მუშაობდა ამ თარგმანზე, დიდი ხნობით სცხოვრობდა და მოგზაურობდა საქართველოში, ეცნობოდა ჩვენი ხალხის დღევანდელ ვითარებას, მის კულტურას, ისტორიულ წარსულს. მისი თარგმანი დიდ მოვლენას წარმოადგენდა უკრაინის საბჭოთა ლიტერატურის ცხოვრებაში. მ. ბაჟანმა ამ თარგმანით გაამდიდრა და გააფართოვა უკრაინული პოეტური ენის მარაგი, შეიტანა რა მასში ხალხში ხმარებული და მანამდე ლიტერატურისათვის უცნობი ლექსიკის ხვავი.

მ. ბაჟანის კალამს ეკუთვნის ქართველი კლასიკოსების—აკ. წერეთლის და ვაჟა-ფშაველას პოემებისა და ლექსების, აგრეთვე თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტების მთელ რიგ ნაწარმოებთა თარგმანიც, მათ შორის აღსანიშნავია „საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადის—დიდი **სტალინისადმი**“, აგრეთვე ცალკეული ლექსები: ვ. გაფრინდაშვილის, რ. გვეტაძის, კ. კალაძის, გ. ლეონიძის, ა. მაშაშვილის, ი. მოსაშვილის, გალ. ტაბიძის, ს. ჩიქოვანის, ს. შანშიაშვილის და სხვ.

მ. ბაჟანის რედაქციით და წინასიტყვაობით 1939 წელს გამოვიდა დიდი ანთოლოგია ქართული საბჭოთა პოეზიისა.

ქართველი ხალხის ცხოვრებისა და მისი დიდი წარსულის თემას მ. ბაჟანმა მიუძღვნა აგრეთვე ლექსები „ვაჟაფშაველას საფლავზე“ და „თმოგვის გზა“.

თავის თარგმანებით მ. ბაჟანმა დიდად შეუწყო ხელი მოძმე ქართველი და უკრაინელი ხალხების კულტურულ და პოლიტიკურ დაახლოვებას, მათ შორის ურყევი სტალინური ძმობის განმტკიცებას.

მ. ბაჟანი, უკრაინისა და საქართველოს მოწინავე საბჭოთა პოეტებთან ერთად, ბრწყინვალედ განაგრძობს მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის იმ ტრადიციას, რომელსაც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩაუყარეს საფუძველი დიდმა ტარას შევჩენკომ და აკაკი წერეთელმა.

ლამაზი, უბრალო, იაფფასიანი წიგნების გამოცემისათვის

ნიკოლოზ ჩაჩავა

ქართულ მხატვრულ წიგნს არასოდეს ისეთი მრავალი მკითხველი არა ჰყოლია, როგორც დღეს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი, რომ ქართული მხატვრული წიგნი მართლა მისულიყო მკითხველთა ფართო მასებთან, გამხდარიყო ამ მასების ნამდვილ საკუთრებად.

ძველად მრავალი წიგნი მხოლოდ ხელისმოწერის საშუალებით სალდებოდა. დღეს ხშირად წიგნის ათიათასიანი ტირაჟიც აღარ აკმაყოფილებს წიგნის ბაზარს. ჩვენი საგამომცემლო ორგანოები წიგნის გასაღების მხრივ მეტად უზრუნველყოფილნი არიან.

ჩვენში საგამომცემლო საქმე „უმნიშვნელოვანესი დარგია კულტურული მოღვაწეობისა, რომელსაც უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მიეცეს ხალხს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას — რაც შეიძლება მეტი ჰკვიანური, შინაარსიანი წიგნი ცოდნის, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის სხვადასხვა დარგიდან,— ლიტერატურის, რომელიც ემსახურება მასების კომუნისტურად აღზრდის საქმეს, ამ მასების კულტურის უმნიშვნელოვანესი მონაპოვრით შეიარაღების საქმეს, — ასეთია ჩვენი გამომცემლობის საპატიო ამოცანა“ („პრავდა“).

წიგნი, რომელიც მრავალი ათასი საბჭოთა მკითხველისათვის არის განკუთვნილი, „უნდა იცემოდეს კარგად, კულტურულად, ლამაზად, მაგრამ უბრალოდ და იაფად. სამწუხაროდ, ჩვენს გამომცემლობებს ხშირად ავიწყდებათ თავიანთი მიზნები, თავიანთი მკითხველი. აბა რით უნდა აიხსნას ის, რომ ამ უკანასკნელ წლებში გამომცემლობები, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურასა და სამეცნიერო წიგნებსა სცემენ, ცდილობენ ერთმანეთს გადააჭარბონ მდიდრული და ძვირფასიანი თავიანთი გამოცემებით? ვის მოთხოვნილებასა და გემოვნებას ითვალისწინებენ ისინი, როცა სცემენ წიგნებს უმთავრესად ძვირფასიან ყდებში?“ („პრავდა“).

„პრავდის“ ეს მითითება ზედგამოჭრილია საქართველოს გამომცემლობებზე. ჩვენში წიგნის კარგად და ლამაზად გამოცემა განისაზღვრება წიგნის ლედერინის ყდაში ჩასმით. ლედერინისა და დერმანტინის ძვირფასი ქსოვილი გადაიქცა მხატვრული წიგნის ლამაზად გამოცემის საზომად.

წიგნის ასეთი გამოცემა ისე დაკანონდა, რომ ავტორი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, თუ კი მისი წიგნი, თავის-თავად რაგინდ ღირებულებასაც არ უნდა წარმოადგენდეს იგი, ძვირფასს ქსოვილებში თუ არ იქნა გამოხვეული. ეს გარემოება საგრძნობლად აძვირებს წიგნის ღირებულებას. ხშირია შემთხვევა, როცა წიგნის ყდა წიგნის საერთო საფასურის ერთ მესამედს უდრის. გარდა ამისა, ამ „ქსოვილებში“ წიგნის „გამოხვევა“ საგრძნობლად აგვიანებს წიგნის გამოსვლას ბაზარზე. ჩვენ მრავალი ფაქტი მოგვეპოვება ამის დასასაბუთებლად. დაბეჭდილი და აკინძული წიგნი ხშირად თვეობით უცდის დერმანტინის ყდას. ამნაირი ყდის დამზადების პროცესი გრძელდება და წიგნს აგვიანებს. ხშირია ისეთი შემთხვევაც, როცა გამომცემლობები წიგნის ტირაჟის მცირე ნაწილს გამოუშვებენ ბაზარზე და ამით გარეგნულად ჰფარავენ წიგნის დაგვიანებას, ფაქტიურად ტირაჟი ხშირად რამდენიმე თვის შემდეგ გამოდის ხოლმე. ეს იმიტომ ხდება, რომ საამკინძაო საამქროში წიგნი ძალზე დიდხანს ჩერდება.

ძვირფას ქსოვილებიანი ყდები რომ წიგნს საგრძნობლად აძვირებს ამას ცხადყოფენ ქვემოთ ჩამოთვლილი წიგნები.

სოლომონ თავაძის რომანი „მამა“ 206 გვერდია და ღირს 12 მან., ანა ანტონოვსკაიას „დიდი მოურავი“ — 206 გვ. — 12 მან., ჟან ჟიონოს „დიდი ფარა“ — 172 გვ. — 10 მან., ვაგანოვას „კლასიკური ცეკვის საფუძვლები“ — 184 გვ. — 14 მან. და 5 კაპ. კალე ბობოხიძის „ლირიკა“ — 190 გვ. (4×6) — 16 მან. და სხვ.

არის მეორე თავისებურებაც. საბლიტგამის მიერ გამოცემული წიგნები მაინც დამაინც ლედერინისა და დერმანტინის ყდაში არ არის ჩასმული, მაგრამ ფასის მხრივ არ ჩამოუვარდებიან სხვა გამომცემლობების მიერ გამოცემულ წიგნებს. განსაკუთრებით შეუფერებელი ფასები აწერია სკოლამდელი ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილ წიგნებს. მაგალითად, ს. ჩიქოვანის „შვიდნი“ 8 გვერდია და ღირს 3 მანეთად, კ. ლორთქიფანიძის „პირფერი მელა“ — 16 გვერდია და ღირს 4 მან. და 50 კაპ., ლ. კვიტკოს „წერილი ვოროშილოვისადმი“ — 12 გვ. — 4 მან.

რა თქმა უნდა, ეს წიგნები ლიტოგრაფიულად არის (რამდენიმე ფერად) დაბეჭდილი, მაგრამ აქაც შეიძლება მოინახოს მრავალი საშუალება, რათა ბავშვებისათვის საკითხავი წიგნი უფრო გაიაფდეს, უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს მისი შეძენა.

„პრავდის“ მითითების შემდეგ ჩვენმა საგამომცემლო ორგანოებმა ისე უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობა, რომ ქართველ საბჭოთა მკითხველს მიაწოდონ „კარგად, კულტურულად, ლამაზად, მაგრამ უბრალოდ და იაფად“ გამოცემული წიგნები.

მნათობი № 12

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ჟურნალი „მნათობის“ მე-12 ნომერი. ჟურნალში მოთავსებულია: მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში — სიმონ ჩიქოვანის ლექსები, დ. სულიაშვილის „ბავშვობა“, სულაბერიძის ლექსები, დ. შენგელაიას ახალი რომანის „შთაგონების“ დასასრული. უჰარაღოს „მაძიებელნი“ (პირველი ნაწილის დასასრული), ბენჟამენ კონსტანის „ადოლფი“ (დასასრული), თარგმანი ფრანგულიდან ქეთევან ირემაძისა. პუბლიცისტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია: შ. ბურკაძის „ამხანაგ **სტალინის** ბრძოლა „მესამე დასის“ უმრავლესობის წინააღმდეგ“.

ჟურნალის ამ ნომერში ვრცლად არის წარმოდგენილი ბიბლიოგრაფიის განყოფილება. დაბეჭდილია: გ. ნატროშვილის „ალ. გომიაშვილის „დარიალი“, დ. შენგელაიას „აკ. ბელიაშვილის მოთხრობები“, მკითხველის „ვ. გაბესკირიას ლექსები“, გ. მებუკეს „ჟურნალი საბჭოთა ხელოვნება“ № 10, რ. მდივანის „დ. მესხის მოგონებანი“, მიმომხილველის „ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“.

ალიო მაშაშვილის პოეზია

(თხზულებათა ერთტომეულის გამოცემის გამო)

ბეს. ჟღენტი

ალიო მაშაშვილის პოეზია შთაგონებულია და გამსჭვალული ჩვენი დიადი თანამედროვეობის გმირული სულით, საბჭოთა ხალხის მებრძოლი ენტუზიაზმით, მისი ურყევი რწმენით და ნებისყოფით, ნათელი და ხალისიანი მისწრაფებით მომავლისაკენ. საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მგზნებარე დღეებთან არის დაკავშირებული მისი შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისი და მას შემდეგ მისი პოეტური სიტყვა ვაჟკაცდებოდა, იხვეწებოდა და იწვრთნებოდა ჩვენს სამშობლოში კომუნისტური ცხოვრების წარმატებათა ნიადაგზე, როგორც უშუალო, წრფელი და მართალი ანარეკლი ჩვენი ეპოქის შემოქმედებითი პათოსისა და გაქანებისა.

კომუნიზმის დროშების წითელი ელვარება მაშაშვილის ლექსს მისთვის დამახასიათებელ ელფერს აძლევს. აქედან არის მისი პოეტური სალებავების ნათელი და ჩრდილმიუდგომელი ფერადოვნება. ქარიშხლისებრ დაუცხრომელი წყურვილი ბრძოლისა და წინმსვლელობისა არის საფუძველი მაშაშვილის ლექსებში დასადგურებული მგზნებარე ტემპერამენტისა. ამიტომ ჟღერს მისი ლექსი ხალხის საბრძოლო აღფრთოვანების ჰიმნად, დაუცხრომელი მოქმედებისა და აქტივობის მღელვარე საგალობელად. აქედან მოდის ვაჟკაცური, რომანტიულად ამაღლებული მუსიკა, შემართული რიტმი, პათეტიური, დაძაბული ჰანგი.

ეპოქის დიდი სოციალურ მოვლენების ლირიკულად განცდა, პირადისა და საზოგადოებრივის გ[illegible]ველი ერთიანობა დაედო საფუძვლად ალიო მაშაშვილის შემოქმედებითი ბუნების ფორმაციას. თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველსავე საფეხურზე მოგვცა მან მთელი რიგი შესანიშნავი ნიმუშები პოლიტიკური ლირიკისა. საკმარისია გავიხსენოთ **ლენინისადმი** მიძღვნილი მისი ლექსები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებენ ქართულ პოეზიაში ამ დიად თემაზე შექმნილ საუკეთესო პოეტურ ქმნილებათა რეპუტაციას. ლექსი „ლენინი“ იხსნება ტკივილისა და მწუხარების განცდით, რომელმაც მოიცვა მთელი მშრომელი კაცობრიობა თავისი უსაყვარლესი და უდიდესი ბელადის გარდაცვალების მძიმე დღეებში. ამ სამგლოვიარო განწყობილებას თან ახლავს ფხიზელი გონების ნაკარნახევი შეგნება **ლენინის** უკვდავებისა, მისი საქმის, მისი ანდერძის უძლეველობისა. ამ ლექსში მაშაშვილმა მიაღწია საბჭოთა ხალხის აზრებისა და მისწრაფებების მკვეთრად გამოხატვის პოეტურ ძალას:

„შენ მოკვდი, მაგრამ ჩვენთან იცხოვრებ,
ვფიცავ შენივე აზრებს, ანდერძებს,
ჩვენთან იშრომებ, ჩვენთან იბრძოლებ,
მთებში, ქარხნებში, ბარიკადებზე“.

ლენინისადმი მიმართულ ამ სიტყვებში პოეტი მეტყველებს ხალხის სახელით. აზრისა და განცდის ასეთ სიწრფელესთან დაკავშირებული სიცხადე პოეტური ფრაზისა — ჭეშმარიტი ხალხურობა, ეს უპირველესი ღირსება სოციალისტური ლირიკისა, უკვე მკაფიოდ მოსჩანს ამ ლექსში.

მაგრამ სოციალისტური ლირიკის ამ თვისებებთან ერთად ალიო მაშაშვილის ადრინდელ ლექსებში იშვიათად როდი ვხვდებით სახეთა ბუნდოვანების, პოეტურ ფრაზათა უაზრო კომბინაციას და ობიექტურ სიცხადეს მოკლებული სურათების შემთხვევებს. მაშაშვილის შემოქმედებითი ევოლუცია მიმდინარეობდა ისეთ ლიტერატურულ გარემოცვაში, სადაც საკმაოდ ძლიერი იყო დეკადენტურ ლიტერატურულ სკოლათა ინერცია, ფორმალისტური გატაცება, პოეტურ უცნაურობათა და „გაუცხოვებათა“ ტენდენცია. მიუხედავად თავისი მძაფრი წინააღმდეგობისა ასეთი გარემოცვის მიმართ, მისი პოეტური ბიოგრაფია მაინც თავისუფალი არ ყოფილა ამ უკანასკნელის ზემოქმედებისაგან. ავიღოთ, მაგალითად, ლექსი „გადიხრა მთვარისაკენ“. სადაც ასეთი ბუნდოვანი სტრიქონები გვხვდება:

„მოდუნდა ამდენხანს უმიზნოდ ტრიალი,
გზაზე ღრუბელივით მოწყენა, ცდა,
ისევ მაღალია და ფიქრებ-ტყიანი
სამშობლო მიწა, სამშობლო ცა.
მშობელო მხარეო, მუდამ თუ გიხსენებ,
კისერზე გაწვიმებს და სველი ხარ,
საკუთარ თვალების ცრემლებით გვისვებ
წყურვილის მდინარეს, წყურვილის ხრამს“.

ისეთი მებრძოლი და საპროგრამო ლექსიც-კი, როგორიცაა „ჩემი ცხოვრების მთავარი თემა“, დაზღვეული არ არის ანალოგიური ბუნდოვანებისა და ალოგიზმებისაგან.

დეკადანსის პოეტებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმის კვალით არის აღბეჭდილი ლექსი „ავტოპორტრეტი“:

„მეც დამაცალეთ ამ გრიგალში, ამ გზაზე
გასვლა
და მაშინ ნახავთ: ვარ თუ არა ლექსში
გენია!“.

ამ პერიოდში ალიო მაშაშვილი ერთგვარ ხარკს აძლევს ბოჰემური პოეზიის ტრადიციებს. სოფელთან გამოთხოვებისა და ქალაქისაკენ სწრაფვის მოტივები მის ადრინდელ ლექსებში გამსჭვალულია აგრეთვე დეკადანსის პოეტებისათვის დამახასიათებელი თავ[illegible]ური ურბანიზმით, სადაც ქალაქი პირველყოვლისა გაგებულია, როგორც ხმაურისა და მოძრაობის ქაოტიური ფენომენი, ბნელი ქუჩების, უძილო ღამეებისა და მოუწესრიგებელ ვნებათა ღელვის ვაკხანალია:

„ქუჩის ხმაურს გადაჰყვა სურვილების
მერცხლები,
ამიჯანყა წყურვილი ავზნიანმა ანიდმა,
მიყვარს ბნელი ქუჩები, ხეტიალით ვერ
ვძღები,
ღამევ შენ ხარ მოწამე, რომ მე ძილი არ
მინდა?“.

შემდეგ პოეტი შეგნებულად, გაბედულად და თანმიმდევრულად იბრძვის საბჭოთა ეპოქის პოეტური კულტურისათვის ამ უცხო და მიუღებელ გავლენათა წინააღმდეგ. მთელი რიგი მისი პოეტური ქმნილებები დეკადენტურ-ლიტერატურულ გარემოცვასთან გამძაფრებული პოლემიკის ნიადაგზეა აღმოცენებული. პოეტის შემოქმედებითი ზრდის მაგისტრალური ხაზი ჩვენი ეპოქის დიადი იდეებით შთაგონებული პოლიტიკური ლირიზმის მიმართულებით ვითარდება. უკანასკნელ წლებში ალიო მაშაშვილმა მოგვცა ამ ჟანრის ისეთი პოეტური ქმნილებები, რომლებიც საბჭოთა ეპოქის ქართული პოეზიის საუკეთესო და პირველხარისხოვან ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნებიან. მისი ლექსი „ჰიმნი სამშობლოს“ მაღალმხატვრული გამოხატულებაა საბჭოთა ხალხის უმაღლესი და უწმინდესი გრძნობისა, მისი თავდადებული სიყვარულისა აყვავებული სამშობლოსადმი, მისი პატრიოტული აღფრთოვანებისა. დიდი ემოციური ზემოქმედების ძალით ამღერებულ ამ ლექსში ღრმად არის გამოთქმული საბჭოთა ხალხის ურყევი რწმენა ჩვენი სამშობლოს უძლეველობისა, კომუნიზმის ციხე-სიმაგრის მიუვალობისა და ხელუხლებლობისა:

„როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
პატარა, მაგრამ მარჯვე წელისა,
რომელმაც შობა გმირი სტალინი,
დამამხობელი ქვეყნად ბნელისა,
როგორ დაჭკნება მთების მშვენება,
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება—ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა“.

ამ ლექსმა ერთბაშად მოიპოვა იშვიათი პოპულარობა, იგი გადავიდა ხალხში სიმღერად. ასეთი საყოველთაო აღიარება და გამარჯვება ლექსს მხოლოდ მაშინ ხვდება ხოლმე, როდესაც პოეტი მისწვდება ხალხის უწმინდეს გრძნობათა სიღრმეს და ხალხისათვის საყვარელ და მისაწვდომ ფორმებში განასახიერებს მათ.

ალიო მაშაშვილის „სამშობლო ბელადისა“ აგრეთვე ერთი საუკეთესო ქმნილებათაგანია მთელს საბჭოთა პოეზიაში დიდ **სტალინისადმი** მიძღვნილ ნაწარმოებთა შორის. ბელადის მშობელი ქვეყნის სახოტბოდ ამღერებული, ღრმა შთაგონებით აღბეჭდილი ეს ლექსი შეიცავს ქართული ბუნების სიდიადის ისეთ მხატვრობას, რომელიც ამავე დროს მკვეთრად ასახავს ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებულ მზიურ ცხოვრებას, **სტალინის** გენიით განათებული ჩვენი თანამედროვეობის სხივოსნებას:

„შეხვალ ბაღში და ყრუ ქრიამულით
ცა დაგადგება მწვანე ტევრების,
ზოგგან ქლიავით დაბინდულია,
ზოგან ნარინჯთა სხივთ შადრევნებით.
ხენი ზემოდან ხელებს გვიშვერენ,
რომ მოვაწყვიტოთ მწიფე მტევნები,
დაგავიწყდება შენი ჰასაკი,
ვაზებს ბავშვივით აედევნები“.

ასეთი მძაფრი ექსპრესიით, აზრობრივი დატვირთულობით, ხალხის საზეიმო განწყობილებათა გამომხატველი ემოციურის ძალით არის დახატული ბუნების გამოღვიძების, გაზაფხულის მეტყველი სურათი ლექსში „გაზაფხული“:

„ათქვირებულან ნორჩი ხეები,
ვარდ-ყვავილების ფიფქით მოცულან.
ადუღებულან მდინარეები,
ნაპირებიდან რძე გადმოსულა“.

გაზაფხულის ეს ცხოველი პეიზაჟი აქ განსახიერებულია, როგორც ქვეყნის აღორძინებისა და განახლების, ხალხის მზიური ცხოვრების ანარეკლი:

„აყვავილებულ ბაღში, ვარდებში,
სითბო, სიცოცხლე დგას გაზაფხულად
ცის ფირუზოვან სილაჟვარდეში
ქვეყნის ღიმილი გამოსახულა“.

ამ გაზაფხულის პირველი და უდიდესი მანათობელი, ამ სითბოსა და ბედნიერების უპირველესი წყარო არის დიდი **სტალინის** გენია:

„დიდება იმ მზეს, რომლის გამთბარი
სხივი სიცოცხლედ გვაქვს ჩასახული,
რომელმაც ქვეყნად სძლია ზამთარი,
და გაუთენა ხალხს გაზაფხული“.

ლექსში „დაბადება“ პოეტი ხატავს ბუნებისა და ყოფაცხოვრების იმ გარემოცვას, რომელშიც დაიბადა ახალი კაცობრიობის უდიდესი ადამიანი. და აქაც ბუნების მხატვრობა გამსჭვალულია ამ დიადი მოვლენის ისტორიული მნიშვნელობის აზრით.

ალიო მაშაშვილი კომკავშირული ახალგაზრდობის წიაღში აღზრდილი პოეტია, მისი მთელი შემოქმედება აღბეჭდილია ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ახალგაზრდობის ხალისიანი და საბრძოლო სულისკვეთებით. ეს ახალგაზრდული გულისძგერა დაუცხრომლად გაისმის მის საუკეთესო ლექსებში. დიდი სიყვარულით და გატაცებით ხატავს პოეტი ჩვენი ეპოქის ახალგაზრდა ადამიანის შემოქმედებითს ენტუზიაზმს ლექსებში „ლაითურის კომკავშირელი“, „დამკვრელი ბრიგადების მარში“ და სხვ. კომკავშირული თაობის ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობის ტიპიური განწყობილებანი მკვეთრ გამოხატულებას პოულობენ ალიო მაშაშვილის სიტყვებში:

„ჩვენ გავიზარდეთ ქარში—ალივით,
აწმყოც ჩვენია და მომავალიც,
თავზე გვევლება მამა სტალინი,
ხალხში მზესავით ამომავალი“.

ფართოა ალიო მაშაშვილის პოეტური ხედვის ჰორიზონტი და მრავალფე-

(დასასრული მე-4 გვ.)

ქართული ფოლკლორისტიკის ფუძემდებელი

ქსენია სიხარულიძე

ქართული ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლას მოკლე ისტორია აქვს. გასული საუკუნის 70-იან წლებიდან ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდეს სახელოვანმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა (ი. ჭავჭავაძემ, აკ. წერეთელმა, პ. უმიკაშვილმა, თ. რაზიკაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა.) მაგრამ ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე, სპეციალური შესწავლის თვალსაზრისის ქვეშ ქართული ფოლკლორი ლიტერატურის ისტორიის მკვლევარმა პროფ. ა. ხახანაშვილმა დააყენა. პროფ. ა. ხახანაშვილი ფოლკლორის უშუალო შემკრებიც იყო. სპეციალური საკითხების კვლევის დროს ის სარგებლობდა მის მიერ იმერეთში, ქართლში და კახეთში შეკრებილი ზღაპრების ხელნაწერი კრებულით. ა. ხახანაშვილის შრომები დღესაც დიდ დახმარებას უწევენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქართული ფოლკლორისტიკის მკვლევარებს. ა. ხახანაშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართული ფოლკლორის ისტორიისათვის მეტად მდიდარ ცნობებს იძლევა შესანიშნავი ისტორიული ძეგლი „ქართლის ცხოვრება“. საგულისხმოა მისი წერილი „კვალი საერო პოეზიისა „ქართლის ცხოვრება“-ში („ივერია“, 1888 წ.). პროფ. პატკანოვის საწინააღმდეგოდ ა. ხახანაშვილი ამტკიცებს, რომ ზოგჯერ მატიანეს წყარო ზეპირი გადმოცემააო, რომ ისტორია მჭიდრო კავშირშია ხალხურ მითოლოგისთან, რომ ფარნაოზ მეფემდე მატიანეს გადმოცემას მითიური ხასიათი აქვს და სხვ.

ა. ხახანაშვილს ეკუთვნის დასმა იმ მნიშვნელოვანი საკითხისა, რომელიც მეტად აქტუალურია დღეს. ეს არის ფოლკლორისა და ლიტერატურის ურთიერთობის საკითხი. საყურადღებო წერილში „ხალხში დარჩენილი „ტარიელის ამბავი“ და შოთას „ვეფხის-ტყაოსანი“ („ივერია“, 1890 წ. № 25) დასმულია რუსთაველის უკვდავი პოემისა და ხალხური ტარიელიანის ურთიერთობის საკითხი. ავტორის დასკვნით, რუსთაველმა „ერის გულიდან ამოიღო შინაარსი თავისი პოემისა“.

იგივე საკითხი წამოყენებულია ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილში, რომელიც ა. ხახანაშვილმა მიუძღვნა ქართული ზღაპრების კრებულის პირველ გამოცემას ქართულ ენაზე („ივერია“, 1891, № 27). ამ სარეცენზიო წერილში ა. ხახანაშვილი მხურვალედ მიესალმა ზღაპრების ცალკე გამოცემის საძირკვლის ჩაყრას. ასევე გულთბილად გამოეხმაურა იგი „თავისუფალი სვანის“ მიერ „სვანური ზღაპრების“ გამოცემას (ა. ხახანაშვილის კრიტიკული წერილი „სვანური ზღაპრების“ გამოცემის შესახებ, „მოამბე“, 1894 წ., № 1). კრიტიკული ხასიათის წერილში შედარებითი მეთოდის თვალსაზრისით განიხილა ა. ხახანაშვილმა აღნიშნულ კრებულში მოთავსებული მასალა და ხაზი გაუსვა ქართული ზღაპრების მსოფლიო მნიშვნელობას.

ა. ხახანაშვილის კალამს ეკუთვნის წერილები აპოკრიფების შესახებ, სადაც გამოსთქვამს სურვილს აპოკრიფებისა და ლეგენდების შესწავლისას („ივერია“, 1892 წ., № 146, 1893 წ., № 591), რაც ჩქარა განახორციელა თავის კაპიტალურ შრომაში «Очерки по истории Груз. словесности» т. I.

თავის წერილში „საერო პოეზია“ მკვლევარი იხილავს ხალხური შემოქმედების წარმოშობის საკითხს, იკვლევს მის ისტორიულ და კულტურულ მნიშვნელობას. ქართული ლიტერატურის ისტორიის სპეციალურ კურსში განხილული აქვს ხალხური შემოქმედების ყველა ჟანრი. ა. ხახანაშვილმა პირველმა სცადა მოეცა ქართული ფოლკლორის მრავალმხრივი შესწავლა, თუმც ამ საკითხის შესწავლისას ზოგი მისი დებულება მიუღებელია თანამედროვე ფოლკლორისტიკისათვის. ა. ხახანაშვილი აკრიტიკებს მითოლოგიურ სკოლას, რომელიც თავის დროზე გაბატონებული მიმართულება იყო დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ფოლკლორისტიკაში. იგი ცდილობს დადგეს შედარებით ისტორიული კვლევის თვალსაზრისზე. მიუხედავად ამისა, მის შრომებში ვპოულობთ სინთეზს სამივე იმ ძირითადი მიმართულებისა, რომელიც ფოლკლორისტიკის ისტორიაში აღინიშნა, (რომანტიულ-მითოლოგიური, მიგრაციის, ანთროპოლოგიური).

ა. ხახანაშვილი აკრიტიკებს რომანტიულ-მითოლოგიური სკოლის დებულებებს, მაგრამ ზოგჯერ თითონვე განიცდის ამ სკოლის გავლენას. ის იმეორებს გრიმებისა და ბუსლაევ-აფანასიევის მიერ წამოყენებულ „უპიროვნო“ ხალხური შემოქმედების მცდარ თეზისს. მისი განმარტებით, ხალხურ პოეზიას „ერთპიროვანი ავტორი არასოდეს არ ჰყოლია“ („საერო პოეზია“, „მოამბე“, 1894 წ., № 10, გვ. 59). მითოლოგიური სკოლის გავლენას ვხედავთ შემდეგ მსჯელობაშიაც: „რამდენადაც ერი ნაკლებ გასცილებია განათლების პირველს ნაბიჯს, იმდენად მასში ნაკლებია მნიშვნელობა კერძო პირისა, უხილავია კერძო ზნეობრივ თვისებათა გამომჟღავნება და ძლიერია ერთგრძნობა, ერთცნება და ერთზნეობა მთელის საზოგადოებისა“ (იქვე). ასეთი მსჯელობა ახლო სდგას მითოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ბუსლაევის თვალსაზრისთან.

ა. ხახანაშვილი ხალხური შემოქმედების ჟანრებიდან ყველაზე მეტ მნიშვნელობას ლექსებსა და ზღაპრებს აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ ალ. ხახანაშვილის ბევრი დებულება ჩვენთვის მიუღებელია, მას თავის დროზე მეტად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ალ. ხახანაშვილმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართული ფოლკლორის სისტემატურ შესწავლას. მისი შრომები დღესაც ძვირფას განძს წარმოადგენენ ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიაში. მკვლევარის ჰორიზონტის სიფართოვე და მასალის ღრმა ცოდნა გამოსჭვივის მის მიერ ყოველი საკითხის დასმა-გადაჭრაში.

„მზიური საქართველო“

თბილისის კინო სტუდია აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას სრულმეტრაჟიან დოკუმენტალურ ხმოვან კინოფილმის „მზიური საქართველოს“ გადასაღებად.

სურათში ასახული იქნება საქართველოს სს რესპუბლიკის უდიდესი მიღწევები ოცი წლის მანძილზე. კინოფილმი მზად იქნება პირველი თებერვლისათვის. ამ ფილმის დემონსტრაცია დაიწყება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის საიუბილეო დღეებში.

ფილმზე მუშაობენ რეჟისორები: ნიკოლოზ შენგელაია, შ. ჩაგუნავა და ვ. მიტროფანოვი. ფილმის გადაღებაზე მუშაობს რამდენიმე ოპერატორი.

„საბჭოთა საქართველოს მხატვრები“

საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირი უშვებს კრებულს „საბჭოთა საქართველოს მხატვრები“.

კრებულში მოთავსებული იქნება მასალა, რომელიც მკითხველს ზოგად წარმოდგენას მისცემს საბჭოთა საქართველოს მხატვრების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

კრებულში დაიბეჭდება მხატვართა მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და მათი შემოქმედების დახასიათება.

კრებული ილუსტრირებულ იქნება ამ მხატვრების ნაწარმოებთა რეპროდუქციებით.

კრებული დაიბეჭდება ქართულ და რუსულ ენებზე და გამოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისათვის.

სერგო კლდიაშვილის ნოველები რუსულად

რუსეთის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობა სცემს სერგო კლდიაშვილის ნოველების წიგნს. წიგნი დღემდე არსებულ რუსულ გამოცემასთან შედარებით შევსებულია ახალი ნაწარმოებებით.

წიგნი გამოვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავისათვის.

ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და შემოქმედება

განახკომის საკვლევო ინსტიტუტმა გამოსცა კარპეზ დონაძის წიგნი „ეგნატე ნინოშვილი — ცხოვრება და შემოქმედება“. წიგნი შეიცავს 120 გვერდს და ღირს 8 მანეთი.

„გიორგი სააკაძე“ ეკრანზე

თბილისის კინოსტუდიამ გადასაღებად მიიღო ა. ანტონოვსკაიას და ბ. ჩორნის სცენარი, რომლის მიხედვით დადგმულ იქნება ისტორიული მხატვრული ხმოვანი ფილმი „გიორგი სააკაძე“.

ფილმის დადგმა მინდობილი აქვს მიხეილ ჭიაურელს. რეჟისორად ემუშავებს ს. დოლიძე.

ფილმის გადაღება გაზაფხულიდან დაიწყება.

ალიო მაშაშვილის პოეზია

დასასრული

როვანია მისი თემატიკა. იგი აქტიურად ეხმაურება ჩვენი ქვეყნის გმირული სინამდვილის დიად მოვლენებს და ამასთანავე მთელ რიგ თავის ლექსებში გვიხატავს კაპიტალისტური მონობის ტყვეობაში მგმინავი მშრომელი ხალხის დუხჭირ ცხოვრებას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „რიქშა“, გერმანელ-რევოლუციონერი პოეტის ერნსტ ტოლერისადმი მიძღვნილი ლექსი და სხვ.

თავის საუკეთესო ნაწარმოებებით ალიო მაშაშვილი თანამედროვე ქართული პოეზიის ერთ-ერთ პირველხარისხოვან ოსტატად გვევლინება. მათში მკაფიოდ არის გამოხატული და მაღალნიჭიერად განხორციელებული სოციალისტური ლირიკის ახალი სპეციფიური თვისებები. თუმცა უნდა ითქვას, რომ უკანასკნელი პერიოდის მის შემოქმედებაში ადგილი აქვს თავისი ძირითადი იდეურ-შემოქმედებითი ხაზიდან გადახვევის შემთხვევებსაც. განსაკუთრებით ეს ითქმის მისი „მინიატურების“ ციკლის შესახებ. ალიო მაშაშვილის თხზულებათა ერთტომეულში დაბეჭდილია ასზე მეტი „მინიატურა“, რომელთა დიდი ნაწილიც მოკლებულია მაშაშვილის პოეზიისათვის დამახასიათებელ აზრის სიცხადეს, იდეურ აქტუალობას, პოეტური ნახატის დასრულებულ მთლიანობას. „მინიატურების“ ეს ციკლი პეიზაჟებისა, ლექსად გამოთქმული აფორიზმებისა და პოეტის სუბიექტურ განწყობილებათა გადმომცემი ლირიკული ფრაგმენტების თანმიმდევრობას წარმოადგენს. იშვიათი როდია მათ შორის ბუნების ცხოვლად დახატული სურათი და მკვეთრ პოეტურ ფორმაში განსახიერებული, აფორისტული მანერით გამოთქმული აზრი. მაგრამ ხშირად აქ დახატული პეიზაჟი მოკლებულია აზრობრივ შინაარსს და, მაშასადამე, საზოგადოებრივ აქტუალობასაც. რა შემეცნებითი ან ესთეტიკური ღირებულება აქვს, მაგალითად, ასეთ განყენებულ პეიზაჟებს:

„ხეებს მიაწვა გულზედ იარა,
ატყდნენ ფოთლების ჩოჩქოლით, დავით,
ამ დროს ნიავმა ჩამოიარა,
ხეებმაც დაბლა დაუკრეს თავი“.

რას ეტყვის მკითხველს, რა განწყობილებებს აღძრავს მასში ასეთი ინდიფერენტული მხატვრობა ბუნების მოვლენებისა:

„აი, ლისის ტბა, ანკარა, წმინდა,
შიგ ჩაძირულან ღრუბლის ქედები,
ქარმა დაჰბერა, ტალღები წყლიდან
უცებ აფრინდნენ, როგორც გედები.

აფორისტული პრეტენზიით დაწერილი ზოგიერთი მინიატურა უმნიშვნელო, ტრივიალური და ზოგჯერ არასწორი აზრის ნიადაგზეა აღმოცენებული მაგალითად, რა მნიშვნელობა აქვს და რას ასწავლის საბჭოთა მკითხველს ასეთი ბუნდოვანი და შეუმოწმებელ აზრზე აგებული სენტენციები:

„სჯობია იქცე ჭკვიანის მონად,
ვიდრე სულელის ბატონ-პატრონად“.

ან კიდევ:

„ცა ელვიანი საშიშია,
არა მქუხარი.
მტერი განზრახვით საშიშია,
არა მუქარით“.

საკითხავია, რატომ არ არის მტერი საშიში მუქარით, თუ ის მართლაც მტერია? აქ ხომ მტრული განზრახვაც არის და მუქარაც? ავტორს, ალბათ, უნდოდა ეთქვა, რომ მალული, შენიღბული მტერი უფრო საშიშია, ვიდრე აშკარა და გამომჟღავნებული, მაგრამ ეს აზრი აქ არ არის ნათლად გამოთქმული. ბუნდოვანი ფორმა კი იწვევს აზრის გაურკვევლობას.

„მინიატურების“ ციკლში აგრეთვე ხშირად გვესმის სევდიან, უიმედო განწყობილებათა გამომხატველი მოტივები, რომლებიც მკაცრად ეწინააღმდეგებიან ალიო მაშაშვილის ოპტიმისტურ მსოფლშეგრძნობას, მისი პოეზიის მებრძოლ და ხალისიან ბუნებას.

გარდა თემატიური მრავალფეროვნებისა, ჟანრობრივი თვალსაზრისითაც ალიო მაშაშვილი ფართო დიაპაზონის ხელოვანია. ლირიკული ლექსების გვერდით იგი ავტორია სატირული ჟანრის პოეტური ნაწარმოებისა „აი ადამიანი!“, ლირიკული პოემისა „მე და ბარათაშვილი“, და ფართო პლანის ეპიური თხზულებისა „ენგური“. პოემაში „აი ადამიანი“ პოეტმა მკაცრად და დაუნდობლად ამხილა ჩვენს სინამდვილეში ჩარჩენილი ნაშთები წარსულის მახინჯი ყოფაცხოვრებითი ურთიერთობისა. ლირიკული პოემა „მე და ბარათაშვილი“ მეტად მძაფრი, პოლემიკური ტონით დაწერილი, დაძაბული ექსპრესიით აღბეჭდილი ქმნილებაა. მასში აშკარად არის გამოხატული კლასიკური მემკვიდრეობისადმი ზერელე და უხეში დამოკიდებულების რეციდივები. მიუხედავად ამისა, ეს პოემა მთლიანად მგზნებარე და წრფელი აპოლოგიაა ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ახალი ცხოვრებისა და მისი ამსახველი ახალი პოეტური კულტურისა.

რაც შეეხება ალიო მაშაშვილის პოემას „ენგურს“, იგი მრავალმხრივად საყურადღებო მოვლენაა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ეს არის პირველი სერიოზული ცდა ქართული კლასიკური პოეზიის დიდი ეპიური ტრადიციების აღდგენის და განვითარებისა. და თუმცა პოემის სიუჟეტის კომპოზიციაში, მთავარი გმირის ხასიათის დახატვაში პოეტმა მთლიანად ვერ გაამართლა ამ ნაწარმოების საფუძვლად აღებული შემოქმედებითი განზრახვა, ეს პოემა მაინც უკანასკნელი წლების ქართული პოეზიის უაღრესად მნიშვნელოვან ქმნილებად გვევლინება. მისი ანალიზისა და შეფასებისათვის მეტად ვიწრო იქნებოდა ამ წერილის ფარგლები.

ალიო მაშაშვილის თხზულებათა ერთტომეული პოეტის დიდი შემოქმედებითი პოტენციის დოკუმენტია, იგი ნაყოფია ოცი წლის დაძაბული და გამძაფრებული შემოქმედებითი ბრძოლისა და უშრეტი თავდებია პოეტის მრავალი შემოქმედებითი გამარჯვებისა მომავალში.

ბიბლიოგრაფია

„ქიზიყის პოეტური ფოლკლორი“

საქართველოს ყველა კუთხე მდიდარია ხალხური შემოქმედების ნიმუშებით. ამ შემოქმედებას მეტად ვრცელი და მრავალფეროვანი ისტორია აქვს. იგი საკმაოდ ღრმად და შინაარსიანად ასახავს ხალხის ცხოვრებას.

ხალხური შემოქმედების მასალის სისტემატურ შეგროვებას და მეცნიერულ შესწავლას დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართულ ენაზე გამოიცა რამდენიმე საყურადღებო კრებული ხალხური შემოქმედებისა. ამ კრებულებში თავმოყრილი მასალა საფუძვლიან წარმოდგენას იძლევა ქართველი ხალხის პოეტური აზროვნებისა და ცხოვრების შესახებ.

ახლახან „ფედერაციამ“ გამოსცა „ქიზიყის პოეტური ფოლკლორი“, რომელიც შედგენილია ს. ებრალიძისა და შ. ღლონტის მიერ. კრებულში თავმოყრილი მასალა მრავალფეროვანია.

კრებულში მოთავსებული მასალა დალაგებულია განყოფილებებად: „წარსულის სილუეტები“, „ხალხის საყვარელი გმირები“, „ბრძოლისა და გამარჯვების ლირიკა“, „საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლირიკა“, „მოკლე შაირები“ და „გამოცანები“. მასალის ასეთი თემატიური დალაგება სწორია. ეს უადვილებს მკითხველს ნაწარმოებთა გაცნობას.

კრებულის პირველ ორ განყოფილებაში მოთავსებული ლექსები ასახავს ძველი ცხოვრების მოვლენებს — ხალხის ჩაგვრას, ხალხის განთავისუფლებისათვის მებრძოლთ და სხვ.

უფრო საინტერესოა კრებულის ის განყოფილება („ბრძოლისა და გამარჯვების ლირიკა“), რომელშიაც ახალი ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენებია ასახული. დიდი პოეტური მგზნებარებით არის შეთხზული ლექსები, მიძღვნილი ხალხთა დიდი ბელადების ლენინისა და სტალინისადმი. ამავე განყოფილებაშია მოთავსებული ლექსები ქართველი ხალხის სახელოვანი შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას შესახებ.

მთლიანად კრებულში მრავალი კარგი ლექსია მოთავსებული.

კრებულს დართული განმარტებები და დიალექტიური ლექსიკონი დიდ სამსახურს გაუწევს მკითხველს.

კრებულს წამძღვარებული აქვს შემდგენელთა შესავალი წერილი. წერილი გამართულად არის დაწერილი, ოღონდ საჭირო იყო ავტორები მორიდებოდნენ ზოგიერთ ნაძალადევ გამოთქმას.

„ქიზიყის პოეტური ფოლკლორის“ გამოცემით როგორც მისმა შემდგენლებმა, ისე „ფედერაციამ“ სასარგებლო საქმე გააკეთა.

დ. ს.

ვლადიმერ ავალიანი — „ლაჰილ პირველი“

ამ რამდენიმე ხნის წინად საბლიტგამმა გამოსცა ახალგაზრდა მწერლის ვლადიმერ ავალიანის მოთხრობათა კრებული. ამ წიგნში ავტორს მოუქცევია ყველა ის მოთხრობა, რომელიც მას დღემდე მხატვრულ ჟურნალ-გაზეთებში დაუბეჭდია.

ვ. ავალიანი მეტწილად თანამედროვე თემებზე სწერს, სცდილობს თანამედროვე ცხოვრება აღწეროს, ახალი სოფლის ადამიანები დაგვიხატოს.

ამ ფრიად საპატიო ამოცანის გადაწყვეტისას ახალგაზრდა მწერალი უნდა ცდილობდეს ასცდეს შტამპს, სქემატიზმს, თავის შემოქმედებისათვის შეარჩიოს ჩვენი ცხოვრების უფრო ტიპიური და დამახასიათებელი ფაქტები და მოვლენები. ამ მხრივ ჩვენს ახალგაზრდა პროზაიკოსს ბევრი საყვედური ეთქმის. მისი ზოგიერთი მოთხრობა არადამაჯერებელ სიუჟეტებზეა აგებული. ასეთია „კავალერი“, „ჩემი ბედის ვარსკვლავი“, „ჩალის ქუდი“ და „მიწა“. რა თქმა უნდა, დაუჯერებელია „ჩემი ბედის ვარსკვლავში“ მოთხრობილი ამბავი: „ქალი ვაჟს ეტრფის, ვაჟიც იდუმალ ეტრფიალება ქალს. დიდი ხნის დაშორების შემდეგ შემთხვევით შეხვდებიან ერთმანეთს სოფლისაკენ მიმავალნი. ქალს სურს გაიგოს, ვინ არის ვაჟის ბედის ვარსკვლავი. ვაჟი მორცხვობს, ვერ მიმხვდარა, რა უნდა ქალს. სოფელს უახლოვდებიან, ქალი ფეხს ითრევს, კიდევ რამდენჯერმე შეეკითხება, მიუალერსებს, წაათამამებს, გაამხნევებს.

„ფრიდონი თავის მხრივ უფრო გაბედულად სწვდა მერის მაჯას, მიიზიდა, მერი კი სულ სმენად და მზერად გადაიქცა რაღაც დიდი, განსაცვიფრებელი პასუხის მოლოდინში.

„ამ უკანასკნელ წუთში ის ცალცალკე მოკიაფე ვარსკვლავებიც უთავბოლოდ აირია ერთმანეთში ცის უშველებელი თაღი უწვრილესი სხივებით გადაიხლართა...

„ვაჟმა ქალის ნაზი ხელი, რომელიც, მგონი, ოდნავ კიდეც თრთოდა მარცხენა მკერდზე მიიკრა და მცირეოდენი დუმილის შემდეგ შესამჩნევი მღელვარებით რაღაც წარმოსთქვა. მერის მისი ნათქვამი არ გაუგონია, შეკრთა მხოლოდ, თითქო დაიბნა კიდეც, მაგრამ, რა წამს ვაჟის მკერდს ფრთხილად ხელი მოაცილა და იმ ადგილს დახედა, სადაც ხელი ედო, ვაჟის ჭკუამახვილობით აღტაცებულმა ისე გაიღიმა, რომ ვაჟმა უმალვე შეატყო, თუ რა მართალი სთქვა, და მერიმაც კმაყოფილებით მიიღო მისი პასუხი.

„ვაჟი არ სტყუოდა: მის მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი ელავდა...“

ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიყვანეთ აქ, რომ დაგვედასტურებინა ჩვენი ნათქვამი. ეს ამბავი არ არის დამაჯერებელი, არ შეიძლება, რომ სინამდვილეში ასე ხდებოდეს.

ასეთსავე არადამაჯერებელ სიუჟეტზეა აგებული „ჩალის ქუდი“. აქ ავტორს რაღაც ადამიანის მსგავსი ან უკეთ რომ სთქვათ გამოგონილი ადამიანი ჰყავს გამოყვანილი. მოლარეა ბიკენტი, იგი სინდისიერი და სუფთა კაცია. ძალზე უყვარს ობლიგაციები. თავის საქმეში პედანტი, იგი რაღაც არაბუნებრივი სიყვარულით უცქერის ობლიგაციებს. „სამსახურში ყველაზე სასიხარულო დღე და წუთები მაშინ დაუდგებოდა, როცა ახალი სესხის ხელუხლებელ ობლიგაციებს ურიგებდა თანამშრომლებს“... „თანამშრომლებმა კი წინდაწინვე იცოდნენ: თუ კი ზედმეტად გადიმებულს და აფუსფუსებულს დაინახავდნენ ბიკენტის, იმ დღეს უსათუოდ ობლიგაციებს მიიღებდნენ“. მეტად სქემატიურ, არაბუნებრივ ამბებზეა აგებული ავალიანის ეს მოთხრობაც.

ეს მაშინ, როცა მას აქვს საინტერესოდ მოფიქრებული და დაწერილი მოთხრობები „კლარა“, „დალის დალალები“, „ლაჰილ პირველი“. ამ მოთხრობებში ავტორს გამოყვანილი ჰყავს ცოცხალი ადამიანები, სიუჟეტი დინამიურად იშლება. აქ თხრობა ისე მიმდინარეობს, რომ მკითხველს თავიდანვე იტაცებს. ამ მოთხრობებიდან სჩანს, რომ ახალგაზრდა ავტორს კარგად ეხერხება ამბის გაშლა, სწერს უბრალოდ, თავისუფლად.

მიუხედავად ამისა, რომ ვ. ავალიანის პირველ წიგნში არის ზოგიერთი საგრძნობი ხასიათის მხატვრული დეფექტი, იმავე წიგნიდან ნათლად სჩანს, რომ იგი უსათუოდ ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსია, მას აქვს ყველა პირობა იმისათვის რომ ჩვენს მრავალფეროვან და მზარდ მწერლობაში თავისი თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს. ამისათვის კი მას სჭირდება უფრო ახლოს იყოს ცხოვრებასთან, იმუშაოს ოსტატობის დაუფლებისათვის. ეს საშუალებას მისცემს ახალგაზრდა მწერალს უფრო რეალურ, დამაჯერებელ მასალაზე ააგოს თავისი მოთხრობები, უფრო გაშალოს თავისი ნიჭი.

კ. მ.

საზღვარგარეთ

ერნესტ ხემინგუეი თავისი შემოქმედებითი მუშაობის შესახებ

„ნიუ-იორკ ტაიმს ბუკ რევიუს“ ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია ე. ხემინგუეის ინტერვიუ, რომლიდანაც სჩანს, რომ მწერალმა დაასრულა და „სკრიბნერსის“ გამომცემლობას გადასცა თავისი ახალი რომანი. რომანი მოცულობით აქამდე გამოცემულ ამ ავტორის ყველა ნაწარმოებს აღემატება.

ინტერვიუში ნათქვამია: „მე მასზე ვმუშაობდი 17 თვეს. იგი კარგი ნაწარმოები უნდა იყოს. უკიდურეს შემთხვევაში მე წერას თავი უნდა დავანებო, რადგან უკანასკნელი ჩემი ნაშრომი „მქონდეს თუ არ მქონდეს“ არც ისე კარგი ნაწარმოები გამოდგა.

მთელი 17 თვის განმავლობაში მე არ დამიწერია არც ერთი მოთხრობა, არც ერთი სტატია. არ მიმიღია არც ერთი ცენტი... მე ყოველდღიურად მუშაობას ვიწყებ დილის 7 საათსა და 30 წუთზე და ვმუშაობ 2 საათსა და 30 წუთამდე, როგორც კი დავჯდები საწერ მაგიდასთან, პირველად გადავიკითხავ, მანამდე უკვე დაწერილს. ასე „შევდივარ“ მუშაობაში. ამის შემდეგ სიტყვებს სიტყვებზე ვაწყობ, როგორც აგურებს. მე ვწერ და არა სტენოგრამას ვაკეთებ.

სრულიად არ ვფიქრობ დროის ეკონომიაზე. მე გამოვცადე „სასწრაფო წერის“ მეთოდი, როცა რაც აზრად მოგდის, ჩაიწერ და შემდეგ ამუშავებ ამ ჩანაწერს. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ თუ იჩქარი დაასრულებ რა პირველ ვარიანტს, არასოდეს არ იცი, გამოგივიდა ჯერ კიდევ წიგნი თუ არა... უფრო ხშირად მუშაობა მიჭირს“.

თავის რომანზე „მქონდეს თუ არ მქონდეს“ ხემინგუეიმ განაცხადა... „ამ რომანის უბედურება იმაშია, რომ იგი გაკეთებულია მოთხრობებიდან. ესპანეთში ყოფნის დროს მე დავწერე ერთი მოთხრობა, შემდეგ მეორე; ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნებისას კვლავ ვნახე ჰანრი მორგანი და გავიფიქრე კიდევ ერთი მოთხრობის დაწერა. ასე წარმოსდგა რომანი, მაგრამ არსებითად ეს ისევ მოთხრობები იყო. მოთხრობებსა და რომანს შორის ხომ უდიდესი განსხვავებაა... არ ვიცი, კიდევ რამდენს დავწერ. მაგრამ ამბობენ, როცა ორმოც წელზე მეტი ხნისა ხარ, იმდენი უნდა იცოდე რომ დასწერო ერთი მართლადაც კარგი რომანი. ვფიქრობ, ჩემი უკანასკნელი რომანი ასეთი რომანი უნდა იყოს“.

დისნეის ახალი ფილმი

ამერიკის ჟურნალ-გაზეთები იტყობინებიან, რომ ცნობილმა კინო-რეჟისორმა დისნეიმ გოლივუდის თავის სტუდიაში დასდგა ახალი ფილმი, რომელზედაც რამდენიმე ასი მსახიობი და ოპერატორი მუშაობდა. რამდენიმე ხნის წინად დისნეიმ და ფილადელფიის სიმფონიური ორკესტრის დირიჟორმა ლეოპოლდ სტაკოვსკიმ გადასწყვიტეს დაედგათ დუკის „ჯადოქრის მოწაფის“ მიხედვით მუსიკალური ფილმი. მოწაფის როლი უნდა ეთამაშნა მიკი მაუსს. ამ აზრმა დაბადა მეორე ფილმის — „ფანტაზიის“ გეგმა. სტაკოვსკი და ფილადელფიის სიმფონიური ორკესტრი შეუდგნენ მუშაობას დამატებით რვა მუსიკალურ კომპოზიციაზე. დისნეიმ გაადიდა ფილმის დადგმისათვის გათვალისწინებული თანხები 2.500.000 დოლარამდე. ამრიგად, ეს ფილმი ჩვენი დროის ყველაზე უფრო ძვირფასიანი ფილმი არის.

ამ ფილმის მუსიკალურ პარტიტურაში შესულია ბახის ფუგა, ჩაიკოვსკის „შელკუნჩიკი“, დებიუსის „მთვარის სხივი“, დუკის „ჯადოქრის მოწაფე“, სტრავინსკის „გაზაფხული“, ბეთხოვენის „ავე მარია“ და „მეექვსე სიმფონია“ და სხვ.

დისნეის ახალი ფილმი კინო-ხელოვნების მეტად ორიგინალური ნაწარმოებია.

ინგლისის თეატრები მძიმე დღეებს განიცდიან.

უკანასკნელმა მოვლენებმა ლონდონისა და პროვინციის თეატრალურ ცხოვრებაზე დიდი გავლენა მოახდინეს. „ობსერვერის“ ერთ-ერთ ნომერში აივორ ბრაუნი სწერს, რომ „თეატრს ბევრი მეტოქე გამოუჩნდა, ყველაზე საშინელი კი მათ შორის რადიოს „საღამოს ცნობებია“, რომლებსაც ღამის 9 საათზე გადმოსცემენ ხოლმე. გათვალისწინებულ უნდა იქნას ისიც, რომ საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობა განუწყვეტლად მიმდინარეობს, სამხედრო მოსამსახურეებს სრულიად შეუწყვიტეს ან საგრძნობლად შეუმცირეს შვებულებები, ერთის სიტყვით, ლონდონის მოსახლეობას ახლა თეატრებში სიარულისათვის აღარ სცალიან.

ამიტომ თეატრები საშინელ მდგომარეობას განიცდიან. უკვე. რამდენიმე გამოცხადებული სპექტაკლი თეატრებში აღარ დაუდგამთ. ზოგიერთი თეატრი არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ მას დახმარება გაუწიეს მსახიობებმა, რეჟისორებმა და დრამატურგებმა, რომელთაც თანხმობა განაცხადეს მიიღონ შემცირებული პროცენტები და დაკლებული ხელფასი. მაგრამ რა იქნება შემდეგ—არავინ უწყის“.

სტატია თავდება თავისებური მუქარით ლონდონის მოსახლეობის მიმართ:

„როცა საბოლოოდ მოვა ცნობა ჩვენი ჯარის გამარჯვების შესახებ და მრავალი ლონდონელი მოისურვებს თეატრში სიარულს, უკვე გვიან იქნება. თუ ახლა ხელს არ შეუწყობთ თეატრს, თეატრი, როგორც ასეთი, ინგლისში აღარ იარსებებს“-ო.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“ თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 8831